



სსიპ გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტი

ალექსანდრე მოსიაშვილი

არაქონებრივი ზიანის ოდენობის განსაზღვრის თავისებურებანი

სამაგისტრო ნაშრომი შესრულებულია სოციალურ მეცნიერებათა ბიზნესისა

და სამართალმცოდნეობის ფაკულტეტზე

სამართლის მაგისტრის აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად

ხელმძღვანელი: ნუნუ კვანტალიანი

სამართლის დოქტორი, ასოცირებული პროფესორი

გორის სახელმწიფო უნივერსიტეტი

გორი

2019

ა ბ

წინამდებარე სამაგისტრო ნაშრომის თემაა არაქონებრივი ზიანის ოდენობის განსაზღვრის თავისებურებანი. ნაშრომის მიზანია აღნიშნულ თემასთან დაკავშირებული საკითხების მიმოხილვა და ანალიზი როგორც ქართულ ასევე უცხოურ კანონმდებლობის მიხედვით.

აღნიშნული თემა მიზნად ისახავს წარმოვაჩინოთ ის პრობლემები რაც აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით არის კანონმდებლობაში და მოვიძიოთ მისი იოლად გადაჭრისა და აღმოფხვრის გზები. ხაზი გაუუსვათ იმ ფაქტებსა და გარემოებებს თუ რა საფუძველით ხდება არაქონებრივი ზიანის მიყენება და როგორ უნდა გადაიჭრას აღნიშნული პრობლემა. ასევე დიდ ყურადღებას მივაქცევთ იმ გარემოებას თუ როგორ ხდება არაქონებრივი ზიანის ოდენობის განსაზღვრა სხვადასხვა შემთხვევების დროს .

ასევე განვიხილავთ თვითოეული არაქონებრივი ზიანის მიყენების შემთხვევაში კომპენსაციის საკითხი, ვისაუბრებთ ქართული სამოქალაქო კოდექსის იმ ნორმებზე რომლებიც არეგულირებენ აღნიშნულ საკითხებს და ვისაუბრებთ მის პრობლემასა და აღმოფხვრის შესახებ.

უფლების შელახმართალია მოცემული ნაშრომი სრულიად ვერ უზრუნველყოფს არსებული პრობლემის გადანყვეტას. მაგრამ სურვილი მაქვს თუნდაც მცირე ოდენი წვლილი შევიტანო აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით. რათა მოხვდეს აღნიშნული თემის უფრო ფართოდ შესწავლა და სიღრმისეული პრობლემის გამოკვეთა და მისი მოგვარების გზების პოვნა რათა არ მოხვდეს აღნიშნული უფლების შელახვა.

## Annotation

### Peculiarities of determining the amount of non-harm.

Alexander Mosiashvili

This is the subject of this master's thesis: peculiarities of determining the amount of non-harm. The aim of the work is to review and analyze the issues related to the above-mentioned issue in line with Georgian and foreign legislation.

This topic aims to show you the problems that are in the legislation and find ways to solve it and eliminate it. Let us underline the facts and circumstances on which groundless harm is and how to solve this problem. We will also pay great attention to how the definition of non-harmful damage can be determined in different cases. We also consider the issue of compensation in case of non-harm damages. We will talk about the norms of the Georgian Civil Code which regulate the issue and talk about its problem and elimination.

It is true that this work is not completely able to solve the problem, but I wish to make a small contribution to this issue in order to be more widely studied of this topic and identify the deepest problem and find ways to resolve it in order not to infringe the right.

## შინაარსი

შესავალი-----	6
თავი 1. არაქონებრივი ზიანის ცნება-----	10
1.1 ზიანის ცნება-----	10
1.2 არაქონებრივი ზიანის არსი-----	13
1.3 არაქონებრივი ზიანის ანაზღაურების უფლებათა სუბიექტები-----	15
თავი 2. მორალური ზიანის ანაზღაურების ისტორიული ასპექტები.-----	18
2.1 მორალური ზიანის ზოგადი ისტორიული წინამძღვრები და განვითარება-----	18
2.2 მორალური ზიანის შესახებ მოძღვრება განვითარება და კომპენსაციის საკითხები ქართულ კანონმდებლობაში-----	19
2.3 მორალური ზიანის შესახებ მოძღვრება განვითარება და კომპენსაციის საკითხები გერმანულ კანონმდებლობაში-----	21
2.4 მორალური ზიანის შესახებ მოძღვრება განვითარება და კომპენსაციის საკითხები ამერიკისა და ინგლისის მაგალითზე-----	23
თავი 3. მორალური ზიანის ანაზღაურების საფუძვლები და ფარგლები-----	25
3.1 მორალური ზიანის ანაზღაურების საფუძვლის და ფარგლების მნიშვნელობა-----	25
3.2 მორალური ზიანის ოდენობის განსაზღვრის კრიტერიუმები-----	27
3.3 მორალური/ არაქონებრივი ზიანის კომპენსაციის განსაზღვრის პრინციპები და პრობლემები კანონმდებლობასა და სასამართლო პრაქტიკაში-----	28
თავი 4. არაქონებრივი ზიანის ანაზღაურება კერძო სამართლის ცალკეულ შემთხვევებში-----	33
4.1 მორალური ზიანის ანაზღაურება საქმიანი რეპუტაციის დროს-----	33

4.2 პირადი საიდუმლოების დარღვევის შემთხვევაში მიყენებული არაქონებრივი ზიანის ანაზღაურება-----	36
4.3 სიტყვისა და გამოხატვის თავისუფლების შემთხვევაში მიყენებული არაქონებრივი ზიანის ანაზღაურება-----	39
4.4 ზიანის მოთხოვნის სუბიექტები და მისი ანაზღაურების საკითხი-----	44
თავი 5. მორალური ზიანის ოდენობის განსაზღვრა ცალკეული სახის სამართალდარღვევისათვის-----	49
5.1 სიცოცხლისა და ჯანმრთელობის უფლების დარღვევა-----	49
5.2 პირადი საიდუმლოების უფლების დარღვევა-----	53
დასკვნა-----	59
ბიბლიოგრაფია-----	61

## შესავალი

ადამიანის უფლებები და თავისუფლება წარმოადგენს უმაღლეს ფასეულობას, რომელთა აღიარება, განხორციელება და დაცვა ეკისრება სახელმწიფოს.<sup>1</sup> საქართველო მიერთებულია იმ საერთაშორისო აქტებსა და ხელშეკრულებებს რომელნიც აღიარებენ ადამიანის უფლებებსა და თავისუფლებას სწორედაც რომ აღნიშნული არის სანყისი იმისა რომ თუ არ არის დაცული ადამიანის უფლებები უმაღლეს დონეზე და ასევე მათი პირადი ქონებრივი და არაქონებრივი უფლებები ვერცერთი სახელმწიფო ვერ მიაღწევს იმ ნიშნულამდე რომელსაც დემოკრატიული სახელმწიფო ეწოდება, და ვერ მიიღებს მონაწილეობას საერთაშორისო ურთიერთობებსა და შეთანხმებებში თუ არ დაიცვა თავისი თვითოველი მოქალაქის ინტერესები უმაღლეს დონეზე.

მაშასადამე ყოველივე სახელმწიფო რომელიც აღიარებს დემოკრატიულობის პრინციპს ვალდებულია რომ დაიცვას თავისი მოქალაქეები ყოველგვარი ქმედებისაგან რომელიც სრულყოფილ მოქალაქეს არასათანადო მდგომარეობაში ან არათანამაშასადამე ყოველივე სახელმწიფო რომელიც აღიარებს დემოკრატიულობის აბარ სიტუაციაში ჩააყენებს. ამასთან ძალზედ მნიშვნელოვანია მოქალაქე დაცული იყოს როგორც სამოქალაქო სამართლებრივი ურთიერთობიდან ასევე სხვადასხვა სამართლებრივი ურთიერთობებიდან რომლის შედეგადაც შესაძლოა რომ მოქალაქეს რაიმე უფლება შეეღახოს ამასთან ძალზედ მნიშვნელოვანია დაცული იქნეს ისეთი

---

<sup>1</sup> შ. ჩიკვაშვილი მორალური ზიანი სამოქალაქო სამართალში თბილისი 1998წ გვ 24

უფლება რომელიც ადამიანის მორალიდან გამომდინარეობს სწორედ აღნიშნული სამაგისტრო ნაშრომი მორალური ზიანის ანაზღაურების და მისი ოდენობის განსაზღვრის თავისებურებას ეხება.

მორალური ზიანის ანაზღაურების საკითხი ჯერ კიდევ ძველი რომის სამართლიდან მომდინარეობს და კანით პირდაპირ იყო დაცული მორალური თვალსაზრისით მიყენებული ზიანის ანაზღაურება. აღნიშნული საკითხი სხვადასხვა ქვეყნების კანონმდებლობაში რეგულირებადია და დიდი მნიშვნელობით სარგებლობს აღნიშნული ასევე რეგულირდება საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 18-ე 413-ე მუხლებით რომელიც პირდაპირ არეგულირებს არაქონებრივი ზიანის დროს პასუხისმგებლობის საკითხებს. მორალი საზოგადოებაში ადამიანის ქცევის ნორმატიულ რეგულაციის ერთ-ერთი საშუალებაა. საზოგადოებრივი ცნობიერების განსაკუთრებული ფორმაა და საზოგადოებრივი ურთიერთობის სახეა. მორალი (ლათინურად „მორალის“ - ზნეობრივი) მოიცავს შეხედულებებსა და გრძნობებს ცხოვრებისეულ ორიენტაციასა და პრინციპს, ქცევებისა და ურთიერთობის მიზანსა და მოტივს, ზღვარს ავლებს სიკეთესა და ბოროტებას შორის, ღირსებასა და უღირსობას შორის.

სამოქალაქო სამართლის როლი და მნიშვნელობა ძალზედ დიდია რადგან მასზე დამოკიდებულია ისეთი ურთიერთობები რომელიც პირთა თანასწორობას განსაზღვრავს.

სამოქალაქო სამართლის ერთ-ერთი ფუნქციონალური პრინციპია პირთა თანასწორობაზე დამყარებული კერძო ხასიათის ქონებრივი ურთიერთობების მოწესრიგება, ასევე ისეთი საკითხის მოწესრიგება რომელიც ადამიანის მორალიდან გამომდინარეობს ქმედება მორალურია თუ ამორალური შეფასების საკითხია და აღნიშნული შესაძლოა სხვადასხვა პიროვნებამ სხვადასხვა გვარად გაიგოს.

სამოქალაქო კოდექსის ნორმები სხვა უფლებებთან ერთად ემსახურება ადამიანის არაქონებრივი უფლებების დაცვას. მორალური ზიანის განსაზღვრა და მისი ანაზღაურების საკითხი მეტად მნიშვნელოვანია სამოქალაქო სამართალში, მორალური ზიანის ანაზღაურება ძირითადად ფულადი სახით განისაზღვრება მაგრამ არის სხვადასხვა შემთხვევა როცა მორალური ზიანი სხვა სახით განისაზღვრება მაგალითად როგორცაა საჯაროდ ბოდიშის მოხდა და სხვა.

მორალური ზიანის ფულად ანაზღაურებას ძველ რომში ჩაეყარა საფუძველი რაც გულისხმობდა ფიზიკური ან ზნეობრივი ტანჯვით მიყენებული ზიანის ანაზღაურებას<sup>2</sup>.

არაქონებრივი ზიანის მიყენებისა და ანაზღაურების საკითხს სასამართლო წყვეტს და მტკიცებულებებისა და არგუმენტები საფუძველზე აფასებს სასამართლო თუ როგორი ზიანი მიადგა მხარეს და როგორ უნდა მოხდეს მისი ანაზღაურების საკითხი, სწორედ სასამართლომ უნდა დაადგინოს თუ რამდენად ჰქონდა ადგილი პირის არაქონებრივი უფლებების შელახვას, სწორედ სასამართლო წყვეტს აღნიშნულ საკითხს და ადგენს პასუხისმგებლობის საკითხსაც.

სამაგისტრო ნაშრომის მიზანია ქართული პრაქტიკის და საერთაშორისო სტანდარტების მეშვეობით ხაზი გავესვათ ისეთ მნიშვნელოვან საკითხს როგორცაა არაქონებრივი ზიანის ოდენობის განსაზღვრის თავისებურება და მის ანაზღაურების საკითხებს ასევე როგორი პრაქტიკაა დანერგილი სხვადასხვა ქვეყნებში და როგორ რეგულირდება საქართველოს კანონმდებლობაში აღნიშნული საკითხი. ასევე როგორ ხდება საქმიანი რეპუტაციის დროს მიყენებული არაქონებრივი ზიანის ანაზღაურება და ასევე ცალკეული სამართალ დარღვევის დროს როგორ განისაზღვრება მორალური ზიანი.

კვლევის მეთოდის ნარმოადგენს დოკუმენტური ანალიზი ნაშრომის თეორიულ ბაზად გამოყენებული იქნა სამეცნიერო ნაშრომები სტატიები დოგმატურ სამართლებრივი, შედარებითი ისტორიული და ლოგიკური ანალიზი . აღნიშნული კვლევის მეთოდს ასევე დიდი მნიშვნელობა აქვს როგორც საქართველოს საერთო სასამართლო პრაქტიკიდან და ასევე საკონსტიტუციო სასამართლოს პრაქტიკიდან ასევე ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილებებს აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით მნიშვნელოვანი ყურადღება დაეთმობა.

ასევე განხილულ იქნება გერმანიისა და სხვადასხვა ქვეყნების მაგალითი თუ როგორ ჩაეყარა საფუძველი არაქონებრივი ზიანის ოდენობას და მის განსაზღვრის საკითხებს საფუძველი. აღნიშნული საკითხები ხელს შეუწყობს იმ პრობლემების

---

<sup>2</sup> ვალერიან მეტრეველი რომის სამართალი თბილისი 2009 წელი გვ 38



გამოყოფას რაც არაქონებრივ ზიანთან არის დაკავშირებული და დაგვანახებს მისი მოგვარების საკითხს.

თემის აქტუალობას განვირობებს ამ უფლების ხშირ დარღვევა და კომპენსაციის კრიტერიუმების არსებობა.

აღნიშნული თემის მიზანია მორალური ზიანის კრიტერიუმების განსაზღვრა და არსებული პრობლემის გადაჭრა.

ნაშრომში განხილული და გაანალიზებულია სამოქალაქო კოდექსის შესაბამისი მუხლები არააქონებრივ ზიანთან დაკავშირებით და განმარტებულია აღნიშნული ნორმები რომლის საფუძველზეც განიხილება არაქონებრივ ზიანთან დაკავშირებული საკითხები განხილულია ასევე მისი არსი და მნიშვნელობა.

პირველი თავი ეხება არაქონებრივი ზიანის არსსა და მნიშვნელობას ასევე ზოგადად ზიანის არსს. მეორე თავში განხილულია არაქონებრივი ზიანის ისტორიული განვითარება და ჩამოყალიბება საქართველოსა და სხვადასხვა ქვეყნების მაგალითზე. მესამე თავი კი არაქონებრივი ზიანის ანაზღაურების საფუძვლებს და ოდენობის განსაზღვრას ეხება.

მეოთხე თავში განხილულია არაქონებრივი ზიანის ანაზღაურება კერძო სამართლის ცალკეულ შემთხვევებში. ხოლო რაც შეეხება მეხუთე თავს მასში განხილულია მორალური ზიანის ოდენობის განსაზღვრა ცალკეული სახის სამართალდარღვევისათვის. ნაშრომი შედგება დასკვნისაგან და მითითებულია გამოყენებული ლიტერატურის ნუსხა.

## თავი 1. არაქონებრივი ზიანის ცნება

### 1.1 ზიანის ცნება

ზიანის ერთიანი და უნიფიცირებული ცნების ჩამოყალიბება საკმაოდ რთულია. სირთულეს განაპირობებს თანამედროვე საზოგადოების ურთიერთობათა კომპლექსური და არა ერთგვაროვანი ხასიათი. ერთი მხრივ ტერმინის ყოფითი მნიშვნელობა თითქმის ყველასათვის გასაგებია და მას სამართლებრივი განაწილება სულაც არ სჭირდება. მეორე მხრივ კი ზიანის ცნების ზუსტ დეფინიციამდე კონკრეტული სამართლებრივი შედეგი და ადამიანის ბედია დამოკიდებული<sup>3</sup>.

თუ ვაღიარებთ რომ, სამოქალაქო ბრუნვის ყველა მონაწილისათვის ერთნაირად მისაღებია ზიანის ცნების ჩამოყალიბება შეუძლებელია. ისლა დაგვრჩა მოვძებნოთ ობიექტური მახასიათებლები რომლებიც ცივილიზებული საზოგადოებისათვის პრინციპულად მისაღებ ნიშნებს გაუსვამს ხაზს. მაშასადამე მხარეთა შორის სამოქალაქო უფლებებისა და მოვალეობის განხორციელების შედეგად შეიძლება წარმოიშვას რაიმე სახის ზიანი ანუ დაირღვეს რომელიმე სამოქალაქო უფლება რომლის აღდგენაც

---

<sup>3</sup> სახელმწიკრულებო სამართალი გიორგი ცერცვაძე ზურაბ ძლიერიშვილი თბილისი 2012წ გვ 646

სასამართლოს მხრიდან უნდა განხორციელდეს რა თქმაუნდა დაზარალებული მხარის მოთხოვნის საფუძველზე ერთ-ერთი აღიარებული განმარტების მიხედვით ზიანის ანაზღაურება გულისხმობს ფულად კომპენსაციას რომელიც შეიძლება სასამართლოს მიერ ერთ მხარეს დაეკისროს მეორე მხარისათვის მიყენებული კონკრეტული ზიანისათვის<sup>4</sup> ზიანი სამოქალაქო სასამართალში არის ფიზიკური და იურიდიული პირის უფლების ან კეთილდღეობის არამართლზომიერი და ბრალეული ხელყოფა განადგურება.<sup>5</sup> ზიანი წარმოადგენს სამართალდარღვევის შემადგენლობის აუცილებელ ელემენტს. თუ არაა ზიანი, არც ქონებრივი პასუხისმგებლობის საკითხი შეიძლება დადგეს. ზიანი სწორედ სწორედ რომ მართლსაწინააღმდეგო მოქმედების შედეგია. იგი წარმოადგენს სამართლებრივი სიკეთის ხელყოფის შედეგს.<sup>6</sup>

ანაზღაურებას ექვემდებარება მხოლოდ ანაზღაურებაუნარიანი ზიანი. ასრთია სამართლებრივად მნიშვნელოვანი და დაცული ზიანი.ზიანი, რომლის რომლის ანაზღაურებაც შეუძლებელია, ვერ ჩაითვლება, ასეთად<sup>7</sup> ზიანი სამოქალაქო სამართალში არის ფიზიკური და იურიდიული პირის უფლების ან კეთილდღეობის არამართლზომიერი და ბრალეული ხელყოფა, განადგურება<sup>8</sup> კერძოდ ზიანის მიყენებით ერთი მხარე მეორე მხარეს აყენებსქონებრივ ან არაქონებრივ ზიანს რომელიც აუცილებლად უნდა ანაზღაურდეს მხარის მოთხოვნის შესაბამისად . ზიანი შეიძლება დავეყოთ სხვადასხვა სახის ზიანად ესენია; სახელშეკრულებო და არა სახელშეკრულებო ზიანი. ქონებრივი და არაქონებრივი ზიანი.

ვალდებულების წარმოშობის თვითოეული საფუძველი მასთან დაკავშირებული სამართლებრივი ურთიერთობების სტაბილურობის დაცვის ადეკვატური სამართლებრივი საშუალებებით უზრუნველყოფს<sup>9</sup>. სამართალი თვითონვე ითვალისწინებს დადგენილი ნორმების დარღვევის შესაძლებლობას და თავის ფუნქციას სწორედ მათ თავიდან

---

<sup>4</sup> Von borthe notion of damage in ;hartkamphesselink/honndius/mak/perron/towards a europen civil code4th revised and expanded edition, 2011, 388-389.

<sup>5</sup> შ. ჩიკვაშვილი პასუხისმგებლობა მორალური ზიანისათვის თბ. 2003 წ გვ 22

<sup>6</sup> საქართველოს სამოქალაქო კოდექსის კომენტარი.თბილისი 2015წ გვ 366

<sup>7</sup> იხ იქვე

<sup>8</sup> შ. ჩიკვაშვილი“ პასუხისმგებლობა მორალური ზიანისათვის“ თბილისი 2003 წელი, გვ .23.

<sup>9</sup> სახელშეკრულებო სამართალი ზ ძლიერიშვილი გ. ცრცვაძე თბილისი2014 წელი გვ. 648.

აცილებას დაუკვე დაფიქსირებული დარღვევის უარყოფით შედეგების აღმოფხვრაში ხედავს. ისევე როგორც ვალდებულება იყოს სახელშეკრულებო ან არასახელშეკრულებო, მისი დარღვევით გამოწვეული ზიანიც შეიძლება მომდინარეობდეს ხელშეკრულებიდან ან კანონიდან. სახელშეკრულებო ზიანი სახელშეკრულებო ურთიერთობის დარღვევის შედეგია. მხარე რომელიც დაზარალებულ მხარეს მიაყენებს ზიანს ვალდებულია აუნაზღაუროს მას ის ზიანი რაც მისი ქმედებით არის მიყენებული. მაგალითად გამყიდველი რომელიც მყიდველს მიაწვდის უხარისხო პროდუქტს, ვალდებულია აუნაზღაუროს მას ამით მიყენებული ზიანი ასეთივე ვალდებულება ეკისრება გამჩუქებელს.

რაც შეეხება ქონებრივ და არაქონებრივ ზიანს, ქონებრივი ზიანი ქონებრივი სიკეთის ხელყოფით შემოიფარგლება, მაშინ როცა არაქონებრივი ზიანი არაქონებრივი სიკეთის ხელყოფის შედეგად წარმოადგენს, კერძოდ ისეთისა რომელიც არაა სამოქალაქო ბრუნვის საგანი. მაგრამ მისი ანაზღაურება შესაძლებელია. აღნიშნულ შემთხვევაში აუცილებლად უნდა მოხდეს ზიანის ანაზღაურება ეს ქონებრივი იქნება თუ არაქონებრივი მნიშვნელობა არ აქვს.

როდესაც სახეზე გვქვს რეალური ზიანი ამ შემთხვევაში უნდა მოხდეს მისი ანაზღაურება და პირვანდელ მდგომარეობაში დაბრუნება. სწორედ მისმა ანაზღაურებამ უნდა უზრუნველყოს ისეთი ფაქტობრივი მდგომარეობა, რომელიც იარსებებდა, რომ არ დამდგარიყო ანაზღაურების მავალდებულებელი გაერმოება.

ზიანის ანაზღაურება სამოქალაქო სამართლებრივი პასუხისმგებლობის ფორმაა. სამოქალაქო სამართლებრივი პასუხისმგებლობა შეიძლება გამოიხატოს ზიანის ანაზღაურების, პირგასამტეხლოს გადახდის, ბეს დაკარგვის ფორმით და სხვა. ზიანის ანაზღაურებას საერთო მნიშვნელობა აქვს, რაც იმას ნიშნავს რომ ის გამოიყენება ვალდებულების ყოველგვარი დარღვევის დროს თუნდაც კონკრეტული ვალდებულების მარეგულირებელი ნორმები არ მიუთითებენ ზიანის ანაზღაურების მოთხოვნის თაობაზე.

მატერიალური ზიანი ქონებრივია ხოლო არამატერიალური ზიანი არაქონებრივი ზიანი წარმოადგენს მოვალის ქმედებით მიყენებულ ტანჯვასა და განცდებს, რომელსაც დაზარალებული განიცდის ამა თუ იმ სიკეთის, როგორც წესი არამატერიალური

ხელყოფით.<sup>10</sup> ამრიგად პასუხისმგებლობის ერთ-ერთი აუცილებელი ელემენტია ზიანის არსებობა. თუ არ არსებობს ზიანი, ვერც ქონებრივი პასუხისმგებლობა იარსებებს, ვინაიდან ზიანი არის ქონებრივი პასუხისმგებლობის დაკისრების ამომავალი წერტილი. ანაზღაურებას ექვემდებარება მხოლოდ ანაზღაურებაუნარიანი ზიანი, ასეთია სამართლებრივად მნიშვნელოვანი და დაცული ზიანი, რომლის ანაზღაურებაც შეუძლებელია ვერ ჩაითვლება ასეთად.

## 1.2 არაქონებრივი ზიანის არსი

აღნიშნული კვლევის საგანს წარმოადენს პირად არაქონებრივი და ქონებრივი სიკეთეების დარღვევის ისეთი შედეგი როგორცაა მორალური ზიანი.

კერძო სამართლით გათვალისწინებული სხვადასხვა ურთიერთობის შედეგად შეიძლება ადგილი ჰქონდეს მორალურ, სულიერ ტანჯვას, მაგრამ მისი ანაზღაურება დაიშვება მხოლოდ კანონით ზუსტად განსაზღვრულ შემთხვევაში ესენია; პატივი, ღირსება, საქმიანი რეპუტაცია, ჯანმრთელობა, რომელთა ხელყოფის შემთხვევაში პირს შეუძლია მორალური ზიანის ანაზღაურების მოთხოვნა. როდესაც ვიწყებთ საუბარს პირად არაქონებრივ უფლებებზე იგი უნდა გავმიჯნოთ ქონებრივი უფლებებისგან პირველ რიგში მისი ბრუნვაუნარიანობის ხასიათიდან გამომდინარე განასხვავებს. მართალია, არაქონებრივი უფლება ქონებრივის მსგავსად კერძო სამართლის ობიექტს შეიძლება წარმოადგენდეს თუმცა, ქონებრივისგან განსხვავებით, პირადი არაქონებრივი უფლებების გასხვისება, ან სხვა სახის (სახელშეკრულებო სამართლის) ობიექტად ქცევა

---

<sup>10</sup> მზია თოდუა „ჰუბ ვილემსი“ ვალდებულებითი სამართალი თბილისი საია 2006 წელი გვ.46.

დაუშვებელია<sup>11</sup>. სწორედ ამაში მდგომარეობს მისი აბსოლუტური ხასიათი. აღნიშნული დაყოფა უფლების ქონებრივი და არა მატერიალური ხასიათიდან გამომდინარეობს. კერძოდ, არამატერიალური სიკეთის გასხვისება შესაძლებელია რიგ შემთხვევებში, თუ მას ქონებრივი ხასიათი გააჩნია, რასაც არაქონებრივის შემთხვევაში არ ექნება ადგილი. არაქონებრივი უფლებების ქონებრივისგან გამიჯვნის საფუძველს ზიანის ანაზღაურების საკითხიც განსაზღვრავს. არაქონებრივი უფლებების დაცვა შესაძლებელია, როგორც სამართლებრივი, ისე მორალური ნორმების დარღვევისას, რაც ქონებრივი ურთიერთობებისას განსხვავებული სახით გვხვდება. ქონებრივი ზიანის ანაზღაურებისას კომპენსაციის დადგენა იოლად ხდება, არაქონებრივი ზიანის ანაზღაურებისას გასათვალისწინებელია თვით დაზარალებული პიროვნება, მისი სულიერი მდგომარეობა და ზიანის დაკისრების შედეგის განსაზღვრა. სხვა სიტყვებით, ქონებრივი ზიანი უფრო მატერიალიზებული სახითაა წარმოდგენილი და მისი სიდიდის განსაზღვრა კონკრეტული ფაქტებიდან გამომდინარე არსებული მტკიცებულებებით ხდება. არაქონებრივი ზიანის შემთხვევაში მტკიცებისთვის საკმარისია მხოლოდ ასეთი უფლების დარღვევის ფაქტი დადასტურდეს. მაგალითად, შეფასების საზომს შეიძლება წარმოადგენდეს ქონება, რაც პირის (დაზარალებულის) სუბიექტის გარეთ არსებულ ობიექტურ ფაქტორებს ეფუძნება.<sup>12</sup>

თავად ტერმინი მორალური ზიანი (ლათინური სიტყვიდან “მორალის“- ზნეობრივი) მომდინარეობს და ეთიკურ ფასეულობების ის სფეროა, რომელსაც უპირველეს ყოვლისა აღიარებს ყველი სრულწლოვანი და ქმედუნარიანი ადამიანი.

სამოქალაქო კოდექსი არ იძლევა არაქონებრივი ზიანის დეფინიციას ეს საკითხი დოქტრინისა და სასამართლოს პრაქტიკის პრობლემაა. მტავარი ისაა რომ კოდექსი დასაშვებად მიიჩნევს არაქონებრივი ზიანის ანაზღაურებას.<sup>13</sup> მორალური ზიანი უნდა გულისხმობდეს „ ფიზიკურ და ზნეობრივ- ფსიქოლოგიურ ტანჯვას,“რასაც სამოქალაქო ბრუნვის მონაწილე განიცდის ამა თუ იმ სიკეთის უმეტესწილად არამატერიალურ

<sup>11</sup> დავით კერესელიძე „ კერძო სამართლის უზოგადოესი სისტემური ცნებები. 2009 წელი გვ 133.

<sup>12</sup> სერგი ჭორბენაძე სამოქალაქო კოდექსის კომენტარი 2016 წელი გვ.8

<sup>13</sup> საქართველოს სამოქალაქო კოდექსის კომენტარი წიგნი მესამე თბილისი 2015 წ გვ 468

ფასეულობათა ხელყოფით.<sup>14</sup> არაქონებრივი ზიანის ვითარებაში ობიექტური მასშტაბებით დამარაღებულის სუბიექტშია, რაზედაც თვით სახელწოდებაც მიგვანიშნებს. არაქონებრივ ზიანსა და მისი ანაზღაურების სავალდებულობას ყველა ცივილიზებული მართლწესრიგი ითვალისწინებს, თუმცა ძირითადი განსხვავება მათ შორის ანაზღაურების მასშტაბებსა და ფარგლებშია.ევროპის კონტინენტზე გამოყოფენ ორ ძირითად მოდელს,<sup>15</sup> რომლებიც ერთმანეთისაგან განსხვავებულ კონცეფციებს ეყრდნობიან. ფრანგული სისტემა ეყრდნობა ნაპოლეონის კოდექსის უზოგადოეს ფორმულირებას ზიანის ანაზღაურებასთან დაკავშირებით და არ ავალებს მკვეთრ ზღვარს ზიანის სახეებსა და მათი ანაზღაურების ფარგლებს შორის.ხოლო გერმანული სისტემა გულისხმობს არაქონებრივი ზიანის ანაზღაურების შემოფარგვლას მხოლოდ კანონის გათვალისწინებული შემთხვევებით.<sup>16</sup> ქართული სამოქალაქო კოდექსი, როგორც გერმანული სამართლებრივი სტილის მიმდევარი სწორედ ამ უკანასკნელ სისტემას განამტკიცებს, სწორედ კანონით გათვალისწინებულ შემთხვევაში განისაზღვრება არაქონებრივი ზიანის არსებობა და მისი არსებობის შემთხვევაში მისი ოდენობის განსაზღვრის საკითხები.

კერძოდ მორალური ზიანის დეფინიცია მოცემულია საქართველოს სამოქალაქო კოდექსის მე-18-ე მუხლის 1-ლ პუნქტში „ვისაც სახელის ტარების უფლებას შეეცილებიან, ან ვისი ინტერესებიც ილახება მისი სახელი უნებართვო სარგებლობით, მას უფლება აქვს ხელმყოფს მოსთხოვოს მოქმედების შეწყვეტა ან უარის თქმა მასზე.“<sup>17</sup>

არაქონებრივი(მორალური) ზიანი ნიშნავს ადამიანის ფსიქიკაში ნეგატიური ცვლილებების გამოწვევას<sup>18</sup> რომლის სიმძიმის მიხედვით შეიძლება იყოს სულიერი ზნეობრივი ტკივილი(ტანჯვა)<sup>19</sup> და სხვა მაგალითად, პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობა ერთი მხრივ, პირის ღირსების დაცვის წინაპირობას შეიძლება წარმოადგენდეს,<sup>20</sup> ხოლო

<sup>14</sup> იქვე

<sup>15</sup> სახელმწიფოებო სამართალი ზ. ძლიერიშვილი თბილისი 2014 წ გვ. 663.

<sup>16</sup> სახელმწიფოებო სამართალი ძლიერიშვილი თბილისი 2014 წ გვ 664

<sup>17</sup> საქართველოს სამოქალაქო კოდექსის კომენტარი მუხლი18

<sup>18</sup> ალფაიძე მედია სამართალი,გვ 216

<sup>19</sup> ნინიძე.სკ-ის კომენტარი წიგნი1 მუხლი18 გვ. 73.

<sup>20</sup>საქართველოს სამოქალაქო კოდექსის კომენტარი წიგნი მესამე თბილისი2001 წ გვ 468

მეორე მხრივ შესაძლებელია პირს აღნიშნულის საფუძველზე არააქონებრივი ზიანი მიაღგეს. მაშასადამე არააქონებრივი ზიანის არსი მდგომარეობს იმაში რომ პირმა თუ არ განიცადა სულიერი ან ფსიქიკური ტანჯვა იგი ვერ მოითხოვს იმ ზიანის ანაზღაურებას რასაც მორალური ზიანი განსაზღვრავს. მორალური ზიანის ცნების შინაგანი ფსიქოლოგიური შინაარსის შესწავლით მორალური ზიანი ერთდროულად ფიზიკური და ზნეობრივი ტანჯვაა. ეს ორი სამართლებრივი კატეგორია ურთიერთდაკავშირებულია და მორალური ზიანის დაყოფის ან სხვა სახელწოდების დარქმევის ნებისმიერი მცდელობა დაუსაბუთებელია.<sup>21</sup>

### 1.3 არააქონებრივი ზიანის ანაზღაურების სუბიექტები.

მორალური ზიანის ცნება და მასთან დაკავშირებულ პრობლემაზე მსჯელობა არ იქნება სრულყოფილი, თუ მათ განვიხილავთ ურთიერთობაში მონაწილე სუბიექტებისა და ამ სუბიექტთა უფლებამოსილების გარეშე, ე.ი. არ განვსაზღვრავთ იმ პირთა სუბიექტურ შემადგენლობას, რომლებიც უფლებამოსილნი არიან მოითხოვონ არააქონებრივი (მორალური)<sup>22</sup> უფლებების დაცვა ზიანის კომპენსაციის გზით. საქართველოს სამოქალაქო კოდექსის<sup>23</sup>მე-18, მე-19 და 413- ე მუხლები აღიარებენ პირის უფლებას მორალური ზიანის კომპენსაციაზე.

აღნიშნული მუხლები ეხება პირადი არააქონებრივი უფლების დაცვას, რომელთა შელახვაც პირს უფლებას აძლევს მოითხოვოს მორალური ზიანის ანაზღაურება.<sup>24</sup>

თუმცა, არ არის მითითებული, თუ ვისზეა საუბარი -ფიზიკურ თუ იურიდიულ პირებზე. თუ მე-18 მუხლის დიფერენციაში გამოყენებული „პირის“ ცნება თავის თავში მოიცავს მხოლოდ ფიზიკურ პირს, სასურველი იქნება ამავე მუხლში საუბარი ყოფილიყო იურიდიული პირის შელახული არააქონებრივი უფლების დაცვის შესაძლებლობასა და

<sup>21</sup> Смиленская Елена Витальевна компенсация морального вреда как деликтное обязательство 2000 г ст 56

<sup>22</sup> შ. ჩიკვაშვილი მორალური ზიანი სამოქალაქო სამართალში თბილისი 1998 წ გვ.23.

<sup>23</sup> საქართველოს სამოქალაქო კოდექსის კომენტარები წიგნი პირველი თბილისი 2015 წ გვ 265

<sup>24</sup> შ. ჩიკვაშვილი მორალური ზიანი სამოქალაქო სამართალში თბილისი 1998 წ გვ 23



მორალური ზიანის კომპენსაციის სახით ანაზღაურებაზე.<sup>25</sup> „ფიზიკური და ზნეობრივი ტანჯვა“ სათანადოდ ვერ წარმოადგენს ზიანის არსს იურიდიული პირის მიმართ, რამე თუ ასეთი ტანჯვა დამახასიათებელია მხოლოდ ფიზიკური პირისათვის, მაგრამ შეიძლება ითქვას რომ მორალური ზიანის ანაზღაურების უფლება იურიდიულ პირსაც აქვს, როდესაც ხელყოფილია მისი საქმიანი რეპუტაცია. „ზნეობრივი და მითუმეტეს „ფიზიკური“ ტანჯვა არ ძალუძს განიცადოს იურიდიულმა პირმა რადგან ამის უნარი მხოლოდ ადამიანს შესწევს. ამრიგად როგორც მორალურ ზიანზე შეიძლება იყოს ლაპარაკი მაშინ, როდესაც ილახება ორგანიზაციის საქმიანი რეპუტაცია. ცხადია რომ აქ ნაგულისხმევია საქმიანი რეპუტაციის შელახვა ან კეთილი სახელის შელახვა, რამაც შეიძლება უარყოფითი გავლენა იქონიოს ორგანიზაციის სამენარმეო ან სხვა სახის საქმიანობაზე. ამ შემთხვევაში მორალური ზიანი უნდა გავიგოთ როგორც ორგანიზაციის პირადი არაქონებრივი უფლებების დარღვევის ყოველგვარი უარყოფითი შედეგი, რომელიც ამ ორგანიზაციის ქონებრივ სფეროს ხელყოფას უკავშირდება. სწორედ ასეთი ასეთი ფორმულირება აშკარად ამცირებს იურიდიული პირის შესაძლებლობას დაიცვას პირადი არაქონებრივი უფლებები, თუნდაც იმიტომ რომ, ვერ მოიცავს იურიდიული პირისათვის მორალური ზიანის მიყენების ყველა პოტენციურ შემთხვევას, რაც თავისთავად რარეალური და არამიზანშენილია, მაგრამ რაც მთავარია, ვერ ქმნის საიმედო დასაყრდენს იურიდიული პირის საქმიანი რეპუტაციის დაცვისათვის.

მორალური ზიანის ანაზღაურების პირების უფლების მქონე პირთა განმსაზღვრელ კრიტერიუმს წარმოადგენს პიროვნებისათვის „ფიზიკური ან ზნეობრივი ტანჯვის“ მიყენება. ღნიშნული ხსნის ყოველგვარ შემლუღვად მორალური ზიანის ანაზღაურების მიღების უფლების მქონე პირთა წრის განსაზღვრაში თუკი სპეციალური ნორმატიული აქტით საწინააღმდეგო არ არის დადგენილი.<sup>26</sup> როდესაც ვსაუბრობთ მორალური ზიანის ანაზღაურების უფლების მქონე სუბიექტთა წრის განსაზღვრის შესახებ, მხედველობაში, უნდა მივიღოთ, უპირველეს ყოვლისა, ის ნორმები, რომლებიც პირს უფლებას აძლევს სხეულის სხეულის დაზიანების ან ჯანმრთელობის ვნების მიყენების და სხვა პირადი

<sup>25</sup> შ. ჩიკვაშვილი მორალური ზიანი სამოქალაქო სამართალში თბილისი 1998 გვ 24

<sup>26</sup> შ. ჩიკვაშვილი მორალური ზიანი სამოქალაქო სამართალში თბილისი 1998 წ გვ.27

არაქონებრივი უფლებების დარღვევისათვის მოითხოვოს მიყენებული მორალური ზიანის ანაზღაურება. ამრიგად არაქონებრივი ზიანის ანაზღაურების სუბიექტებად გვევლინება ფიზიკური პირები რომელნიც განიცდიან ძლიერ ფიზიკურ და ფსიქიკურ ტანჯვას რის შედეგადაც მათ აქვთ მორალური ზიანის მოთხოვნის უფლება.

მორალური ზიანი უნდა გულისხმობდეს „ფიზიკურ და ზნეობრივ ფსიქოლოგიურ ტანჯვას“ რასაც სამოქალაქო ბრუნვის მონაწილე განიცდის ამათუ იმ სიკეთის უმეტესწილად, არამატერიალურ ფასეულობათა ხელყოფით.<sup>27</sup>

## **თავი 2. მორალური ზიანის ანაზღაურების ისტორიული ასპექტები.**

### **2.1 მორალური ზიანის ანაზღაურების ისტორიული წინამძღვრები და განვითარება.**

ისტორიული მოძღვრება პირად არაქონებრივ უფლებების შესახებ წარმოიშვა როგორც მოძღვრება საკუთარ პიროვნების უფლებების შესახებ. მის წარმოშობას დონელიუსის სახელს უკავშირებენ რომელმაც ჯერ კიდევ მე-16 საუკუნეში რომის სამართლის კომენტარებისას სამართლებრივი დაცვის ღირს სიკეთედ აღიარა

---

<sup>27</sup> Эрделевский А М компенсация морального вреда 2-е изд м 2000г ст 123

სიცოცხლე,<sup>28</sup> ფიზიკური ხელშეუხებლობა თავისუფლება და პრესტიჟი.<sup>29</sup> დონელუსისამ შეხედულებას მე-19 საუკუნის სამართალმცოდნეებმა დიდი ყურადღება დაუთმო და იმ ეპოქის ცნობილი იურისტების დისკუსიის საგანი გახდა. მაგალითად, ზოგი იურისტი წინააღმდეგი იყო, რომსამოქალაქო სამართალს ასეთი უფლება ცალკე განემტკიცებინა, რადგან შეუძლებლად მიიჩნევდნენ ადამიანის მიერ საკუთარი სახელისა და სიცოცხლის განკარგვის უფლების აღიარებას.

პირადი არაქონებრივ უფლებების პირველი დეფინიცია გარეკს<sup>30</sup> ეკუთვნის რომლის თანახმადაც, პირადია უფლებები, როლებიც მის სუბიექტს უზრუნველყოფენ, საკუთარი პირადი სფეროების ამა თუ იმ ნაწილზე ბატონობას.<sup>31</sup>

პირადი არაქონებრივი უფლებების, როგორც საკუთარ პიროვნებაზე უფლების, გაგება ერთადერთი არ ყოფილა მე-19 საუკუნეში. არსებობდა შეხედულება რომელიც პირად უფლებაში ხედავდა საზოგადოებისაგან საკუთარი ინდივიდუალურობის ყურადღებისა და პატივისცემის უფლებას. ამ შეხედულების გაძლიერებამ არსებითად გამოიწვია საავტორო სამართლის გაძლიერება. რამაც პირადი უფლებების დეფინიცია ჩამოაყალიბა.

სამართლის სუბიექტს აქვს თავისი ინდივიდუალობის, როგორც ასეთი აღიარების უფლება<sup>32</sup>.

სამართლებრივი სახელმწიფოსათვის დამახასიათებელია ადამიანის უფლებებისა და თავისუფლებების უზრუნველყოფის მაღალი ხარისხის არსებობა მისი უმთავრესი ამოცანას წარმოადგენს, როგორც კონსტიტუციით აღიარებული უფლებების და თავისუფლებების ეფექტური დაცვა, ასევე დარღვევის შემთხვევაში მათი სამართლიანი, სწრაფი, ეფექტური აღდგენა და მიყენებული ზიანის ანაზღაურება. მორალური ზიანის კონპენსაციის ინსტიტუტი მრავალ ქვეყანაში დიდი ხანია არსებობს და წარმოადგენს მათ სამართლებრივი სისტემის განუყოფელ ნაწილს და სამოქალაქო სამართლის ნორმების

<sup>28</sup> ნინო ბარბაქე მორალური ზიანი და მისი ანაზღაურების პრობლემა 2011 წ. თბილისი გვ.25.

<sup>29</sup> ლ. ჭანტურია „შესავალი საქართველოს სამოქალაქო სამართლის ზოგად ნაწილში“. თბილისი 1997 წ. გვ.189

<sup>30</sup> ნინო ბარბაქე მორალური ზიანი და მისი ანაზღაურების პრობლემა თბილისი 2011 წ. გვ.26

<sup>31</sup> ლ. ჭანტურია „შესავალი სამოქალაქო სამართლის ზოგად ნაწილში“ თბილისი 1997 წ. გვ.78

<sup>32</sup> ლ. ჭანტურია „შესავალი სამოქალაქო სამართლის ზოგად ნაწილში“ თბილისი 1997 წ. გვ. 80

სამართლებრივი რეგულირების ობიექტს. ამასთან აშკარაა, რომ არამატერიალური მართლსაწინააღმდეგო ხელყოფის შემთხვევაში დიდი უმრავლესობას ქმნის ასევე სისხლის სამართლებრივად დასჯადი ქმედების შემადგენლობას რამაც როგორც ჩანს განსაზღვრა მჭიდრო კავშირი ადამიანის იდეალური სიკეთეების დაცვისა და სისხლის სამართალწარმოებას შორის. ჯერ კიდევ ძველი რომის სამართალში<sup>33</sup>, რომელიც ტრადიციულად ძირითად აქცენტს აკეთებდა მოქალაქეთა ქონებრივ უფლებების დაცვაზე იგრძნობოდა ადამიანის ცხოვრების არამატერიალური სფეროს; სიცოცხლის, ჯანმრთელობის, პატივისა და ღირსების დაცვის ტენდენცია. ჯერ კიდევ თორმრტი ტაბულის კანონში<sup>34</sup> უდავო იყო არა მარტო ჯანმრთელობისათვის მიყენებული ზიანის, დაზარალებულისათვის მიყენებული ტანჯვის მატერიალური კომპენსაციის მცდელობა და მისი ანაზღაურების ვალდებულება თანდათან ყალიბდებოდა.

## 2.2 მორალური ზიანის შესახებ მოძღვრების განვითარებისა და კონვენსაციის საკითხი ქართულ კანონმდებლობაში

ქართულ სამართალში არაქონებრივი ზიანის ფულადი კონვენსაცია სრულიად ბუნებრივი იყო, უფრო მეტიც ძველი სამართლის ძეგლები გამოირჩეოდნენ თავისი არაქონებრივი ზიანისა და მისი კონვენსაციისათვის საჭირო თანხის ერთობ სრული კონვენსაციისათვის, რაც სასამართლო პრაქტიკას უადვილებდა გადაწყვეტილების მიღებას. ძველი ქართული სამართლის ბრუნვის მონაწილის არაქონებრივ ფასეულობრბს განსაკუთრებულად პატივს სცემდა, არაქონებრივ სიკეთეთა მიმართ იგრძნობოდა ერთგვარი სოციალური თანასწორობა, რაც იშვიათი უნდა ყოფილიყო საერთოდ წოდებრივი სამართლისათვის<sup>35</sup>.

<sup>33</sup> ვალერიან მეტრეველი რომის სამართლის საფუძვლები თბილისი 2009 წელი გვ 51

<sup>34</sup> ვალერიან მეტრეველი რომის სამართლის საფუძვლები თბილისი 2009 წ გვ 58

<sup>35</sup> გ. ნადარეიშვილი პატივისა და ღირსების დაცვა ქართული ფეოდალური სამართლის ძეგლებისა და სასამართლო პრაქტიკის გამოყენების მიხედვით ალმანახი ქართული სამართლის ისტორიის საკითხები, თბილისი 2000 წელი გვ 54

ქართული სამართლის ისტორიაში პირადი არაქონებრივი უფლებების შესახებ ერთ-ერთი მნიშვნელოვანი კვლევა ეკუთვნის გიორგი ნადარეიშვილს, რომელმაც ქართული სამართლის წიგნებსა და იურიდიულ საკითხებზე ეთნოგრაფიული თუ კერძო სამართლებრივ გარიგებაზე დაყრდნობით, აჩვენა თუ როგორ წყვეტდა ადამიანის პატივისა და ღირსების დაცვის საკითხს, შუასაუკუნეების კანონმდებლობა.

ფეოდალურ ხანაში განსაკუთრებით მის აღრეულ საფეხურზე, ადამიანის პატივი და ღირსება მისი სისხლის ფასში, რომელიც ან სამართლის წიგნში ან სათანადო სიგელში იყო ფიქსირებული<sup>36</sup>. შესაბამისად ძველი საკანონმდებლო ძეგლებისა და ქართული სამართლის წიგნების მიხედვით იკვეთება, პატივისა და ღირსების, შეურაცყოფის მიყენების და სხვა ისეთი ქმედებებისათვის რომელიც ადამიანს მორალურ ზიანს და ძლიერ ფსიქიკურ ტანჯვას გამოიწვევს დადგენილი სასჯელის სახეები რომლის არსებობაც პირდაპირ მიგვითითებს იმ გარემოებაზე რომ არაქონებრივი ზიანის მიყენების შემთხვევაში აუცილებლად დგებოდა პასუხისმგებლობის საკითხი რომელიც გამოიხატებოდა ბოდიშის მოხდაში ან ჯარიმაში.

ძველ ქართულ სამართალში შიტყვიერი შეურაცყოფა არაქონებრივ ზიანად ითვლებოდა და შესაბამისად ხდებოდა მისი ანაზღაურებაც დაზარალებული მხარის სასარგებლოდ ზირითად კონპენსაციის ძველ ქართულ სამართალში წარმოადგენდა საჯაროდ ბოდიშის მოხდა და ფულადი კონპენსაცია. რაც შეეხება სასჯელის შემამსუბუქებელ გარემოებას თუკი ჩადენილ დანაშაულს გულწრფელად ინანიებდა ბრალდებული შესაძლებელია რომ ჩათვლილიყო შემამსუბუქებელ გარემოებად. და ასევე სხვადასხვა კომპლექსური დასჯის ფაქტი იყო რაც მიუთითებს კანონმდებლობის მხრივ ადამიანის პატივისა და ღირსების ცნების შედარებით მაღალ დონეზე აღქმას<sup>37</sup> ღნიშნულიდან გამომდინარე ნათლად ჩანს თუ როგორ ფართო განვითარება ჰქონდა არაქონებრივი ზიანის ისტორიას ქართული სამართლის ისტორიაში და რა გზა განვლო

---

<sup>36</sup> გ. ნადარეიშვილი პატივისა და ღირსების დაცვა ქართული ფეოდალური სამართლის ძეგლებისა და სასამართლო პრაქტიკის გამოყენების მიხედვით აღმანახი ქართული სამართლის ისტორიის საკითხები, თბილისი 2000 წელი გვ 56

<sup>37</sup> იქვე.

რომ ას დახვეწილიყო თანამედროვე სამართალში. აღნიშნულით დღევანდელ კანონმდებლობის თანახმად დაცულია ადამიანის არაქონებრივი უფლებები მაღალ დონეზე მაგრამ არსებობს პრობლემები კანონმდებლობაში რათა სრულად იყოს აღმოფხვრილი პიროვნების აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებული პრობლემები.

აღნიშნულ საკითხს თანამედროვე ქართულ კანონმდებლობაში აწესრიგებს როგორც ქვეყნის კონსტიტუცია ასევე სამოქალაქო სამართლის ის ნორმები რომლების არაქონებრივ ზიანის ანაზღაურების საკითხს ეხება.

როგორც ვხედავთ არაქონებრივი ზიანის საკითხმა ძალზედ მრავალი პერიოდი განვლო და ჩამოყალიბდა სრულყოფილ ნორმად რომელიც აწესრიგებ თანამედროვე კანონმდებლობაში არაქონებრივი ზიანის ანაზღაურების საკითხს.

## **2.3 მორალური ზიანის შესახებ მოძღვრების განვითარებისა და კონვენსაციის საკითხი გერმანულ კანონმდებლობაში.**

იმპერატორ კარლ მეხუთის ძეგლისდებში, რომელიც ცნობილია „კაროლინას“ სახელწოდებით ნახსენებია „ფულადი კონვენსაცია ტანჯვისათვის“. გერმანიაში დღესაც ამავე სახელწოდებით არსებობს ფულადი ანაზღაურების ინსტიტუტი მიყენებული ტკივილისა და ტანჯვისათვის.

გერმანიის სამოქალაქო კოდექსის 823-ე მუხლში საუბარია <sup>38</sup>ფულადი კომპენსაციის გადახდაზე იმ ზიანისათვის როდესაც არაქონებრივი ზიანი დგება ისეთი არამართლზომიერი ქმედების შედეგად როდესაც პიროვნებას ადგება არაქონებრივი ზიანი გერმანული სამართლის მიხედვით ითვლება როგორც ფიზიკური ფსიქიკური ტანჯვა<sup>39</sup>.

გერმანიის სამოქალაქო კოდექსი არ შეიცავს სპეციალურ ნორმებს პიროვნების უფლებათა დაცვის შესახებ, იგი გერმანიის ძირითადი კანონით აღიარებული და

<sup>38</sup> გერმანიის სამოქალაქო სამართლის კომენტარი თბილისი 2010 წ გვ 398

<sup>39</sup> კონარდცვაიგერტი, ჰაინ კოტცი შედარებით სამართალმცოდნეობის შესავალი კერძო სამართლის სფეროში ტომი მეორე თბილისი 2001 წ გვ.380

ადამიანის ღირსებიდან და პიროვნების თავისუფლი განვითარების უფლებიდან ბუნებრივად გამომდინარედ მიიჩნევა. თუმცა პარალელურად ხდება კანონით ზოგიერთი პიროვნული უფლების დაცვა, როგორებიცაა, სახელის უფლება და გამოხატვის უფლება<sup>40</sup>. ზიანის მიყენების შედეგად წარმოშობილი ურთიერთობების მარეგულირებელ საერთო ნორმას წარმოადგენს გერმანიის სამოქალაქო კოდექსის 823 მუხლი თუმცა 823-ის პირველი აბზაცი ნებას იძლევა აღიძრას სარჩელები ბრალეული ქმედების შედეგად მიყენებული ზიანის გამო. მოქმედებები უნდა გამოიხატებოდეს სხეულის დაშავებაში, ჯანმრთელობისათვის ზიანის მიყენებაში, და თავისუფლების შელახვაში.

გერმანიის სამოქალაქო კოდექსის 253-ე მუხლი შემდეგნაირად არის არის ჩამოყალიბებული.

ზიანის მიყენებისათვის რომელიც არ წარმოადგენს მატერიალურს ფულადი კონპენსაცია შეიძლება მოთხოვნილ იქნეს მხოლოდ კანონით გათვალისწინებულ შემთხვევაში.<sup>41</sup> სასამართლო პრაქტიკა ამ შემთხვევაში გერმანიის კონსტიტუციის პირველ და მეორე მუხლების გამოყენებით აღიარებს სხვა უფლებების არსებობასაც, რომელთა დარღვევის შემთხვევაშიც შესაძლებელია არაქონებრივი ზიანის ანაზღაურების მოთხოვნა.<sup>42</sup>

შესაბამისად გერმანიის სამოქალაქო კოდექსში განხორციელებული ცვლილებების არსი მდგომარეობს იმაში, რომ შესაძლებელი გახდა არაქონებრივი ზიანის ანაზღაურების ინსტიტუტის გამოყენება არა მხოლოდ ბრალეული არასახელმშეკრულებო ურთიერთობისას მიყენებული ზიანის დროს, არამედ იმ დროსაც როცა დაზარალებული და ზიანის მიმყენებელი სახელმშეკრულებო ურთიერთობაში იყვნენ ერთმანეთთან.

გერმანიის სამოქალაქო კოდექსის 826-ის თანახმად „პირი რომელმაც განზრახ ზიანი მეორე მხარეს უზნეო მოქმედებით, მოვალეა აუნაზღაუროს ზიანი, სასამართლოები აღნიშნულ ნორმას იყენებენ იმ შემთხვევაში როდესაც ერთი მხარის მოქმედება

<sup>40</sup> დავით კერესელიძე კერძო სამართლის უზოგადოესი სისტემის ცნებები გვ 139

<sup>41</sup> გერმანიის სამოქალაქო კოდექსის კომენტარები თბილისი 2010 წელი გვ 399

<sup>42</sup> ლევან დოლონაძე მორალური ზიანის ანაზღაურება 2010 წელი თბილისი გვ. 17

სცილდება მოცემულ საზოგადოებრივი ჯგუფის საყოველთაოდ აღიარებულ ზრდილობის ჩარჩოებს.<sup>43</sup>

გერმანიის კანონმდებლობაში იმ სიტუაციას რომლის დროსაც უფრო დიდ არამატერიალურ ზიანს, შექცეულ გამოწვია კომპენსაციის უფრო მცირე ოდენობა ექცეოდა მთელი რიგი გერმანელი სამართალმცოდნეების კრიტიკის ქვეშ, რის შედეგადაც დღესდღისობით, დამოკიდებულება კონპენსაციის ფუნქციონალური დანიშნულებისა და არამატერიალური ზიანის მიმართ შეიცვალა და დაზარალებულის მიერ სხეულის დაზიანების შედეგად გარემომცველი მგრძნობელობით და რაციონალური აღქმის დაკარგვა განიხილება როგორც გარემოება, რომელიც იწვევს კომპენსაციის ოდენობის გაზრდას, რომელიც ამ შემთხვევაში განიხილება, როგორც კონპენსაცია არა გადატანილი ტანჯვისა, არამედ უშუალოდ სასიცოცხლო სიკეთეების ხელყოფისათვის.<sup>44</sup>

## **2.4 მორალური ზიანის შესახებ მოძღვრება განვითარება და კონპენსაციის საკითხები ამერიკისა და ინგლისის მაგალითზე.**

ზოგადი პიროვნული უფლებების არსებითი შემადგენელი ელემენტი აშშ-ს სამართალში საკმაოდ ფართოდ არის განმარტებული, და დაცულია“ პირადი სფეროს უფლება“<sup>45</sup> იგი ანგლო ამერიკულ სამართალში აღიარებული პატივის დაცვის კონსტრუქციისაგან დამოუკიდებლად ჩამოყალიბდა და განსხვავებული პრინციპის აღიარებას დარწმუნა. მოგვიანებით შემუშავებული ერთ -ერთი კლასიფიკაციის თანახმად“ პირადი სფეროს სამართალი“ ოთხ ჯგუფს აწესრიგებს.

ქვეყანა რომელმაც მეტნაკლებად აითვისა მორალური ზიანის ანაზღაურებადობის პრინციპი არის ინგლისი, ინგლისური სამართალი ზიანის ანაზღაურებისას ატრ აკეთებს

<sup>43</sup> კონარდ ცვაიგერტი ჰაინ კოტცი შედარებითი სამართალმცოდნეობის შესავალი კერძო სამართლის სფეროში ტომი მეორე თბილისი 2001 წ გვ 293.

<sup>44</sup> ნინო ბარბაძე მორალური ზიანი და მისი ანაზღაურების პრობლემა თბილისი 2011 წ გვ.68

<sup>45</sup> ნინო ბარბაძე მორალური ზიანი და მისი ანაზღაურების პრობლემა;თბილისი 2010 წ გვ 70



არანაირ განსხვავებას მატერიალურ და არამატერიალურ ზიანს შორის ყოველ ზიანს ეკუთვნის ანაზღაურება თუ იგი ნამდვილი და სეიოზულია. რამდენადაც იგლისი მსხვილი კოლონიური სახელმწიფო იყო ანგლოსაქსონური სისტემის პრინციპები სისტემის პრინციპები მრავალ ქვეყანაში იყო გავრცელებული.

ინგლისურ და აშშ-ს სამართალში არსებობს მორალური ზიანის განსაზღვრის მრავალი ვარიანტი; ფსიქოლოგიური ზიანი, ფსიქიატრიული ზიანი, ნერვული შოკი, ჩვეულებრივი შოკი, და სხვა. 1952 წელს ინგლისში მიღებული იქნა კანონი დიფამაციის შესახებ, რომელიც მიმართული იყო პიროვნების არაქონებრივი უფლებების დაცვის გაძლიერებისაკენ, რომელიც მიზნად ისახავდა ბალანსის შენარჩუნებას, პირის რეპუტაციის უფლებისა და სიტყვის თავისუფლებას შორის. ამასთან პირს სარცელის წარდგენა შეუძლია მხოლოდ სიცოცხლეში და ეს უფლება მემკვიდრეობით არ გადადის. პირადი უფლებების დაცვის სფეროში საერთო სამართლის ქვეყნები ერთმანეთისაგან განსხვავებენ პატივის დაცვასა და სხვა პირადი უფლებების დაცვას, პატივის დაცვა უზრუნველყოფს როგორც ინგლისურ ასევე ამერიკულ ი სამართალი, პიროვნების ხელშეუხებლობის უფლებას ინგლისური კანონმდებლობა იცავს და საერთოდიცავს ყველაიმ უფლებას რაც პიროვნების თავისუფლებასთან არს დაკავშირებული.

თუკი დაზარალებული თანხმობას იძლევა ცნობების გავრცელებაზე ცნობის გამავრცელებელი პასუხს არ აგებს,მათ შორის იმ შემთხვევაშიც, თუკი აღმოჩნდება რომ ზოგიერთ პირს შეეძლო განემარტა, ეს ცნობები, ივარაოდება რომ დაზარალებულს უნდა მოეფიქრებინა ასეთი შედეგების დადგომის შესაძლებლობა ვიდრე თანხმობას მისცემდა მის გავრცელებაზე.

სამართლებრივი სისტემების უმეტესობა ცდილობს თავი აარიდოს მორალური ზიანის ანაზღაურების შესაძლებლობის გაფართოებას, იმდენად რამდენადაც ძნელია ასეთი ზიანის არსებობის დადასტურება და ზიანის ღირებულების ზუსტი გაანგარიშება, ამიტომ სამართლებრივი სისტემების უმრავლესობაში გამოიყენება ისეთი მოდელი, რომლის მიხედვითაც არამატერიალური ზიანის ანაზღაურება დასაშვებია, მაგრამ ზუსტად განსაზღვრულ შემთხვევაში და განსაზღვრული რაოდენობით. პირს რომელსაც მიადგა რაიმე სახის ზიანი რომელმაც შელახა მისი უფლებები და გამოიწვია მისი სულიერი ან ფსიქოლოგიური ტანჯვა, აქვს

უფლებ მოითხოვოს მიყენებული ზიანის სამართლიანი შეფასება, თუკი დაზარალებულმა, მოითხოვა მიყენებული ზიანის სამართლიანი შეფასება.<sup>46</sup>

### **თავი 3-ე მორალური ზიანის ანაზღაურების საფუძვლები და ფარგლები**

#### **3.1 მორალური ზიანის ანაზღაურების საფუძვლისა და ფარგლების მნიშვნელობა.**

საქართველოს სამოქალაქო კოდექსის მიხედვით, ანაზღაურებას ექვემდებარება, როგორც ქონებრივი (მატერიალური), ისე არაქონებრივი (მორალური) ზიანი. სამოქალაქო კოდექსი არ იძლევა არაქონებრივი (მორალური) ზიანის დეფინიციას. ეს საკითხი დოქტრინისა და სასამართლო პრაქტიკის მიხედვით უნდა გადაწყდეს.

საქართველოს კანონმდებლობა ზღუდავს, მორალური ზიანის ანაზღაურების ფარგლებს, კერძოდ მორალური ზიანი შეიძლება ანაზღაურდეს მხოლოდ მაშინ, როცა საქართველოს კანონმდებლობით პირდაპირ გვაქვს მითითება ამის შესახებ.

მაგ: მორალური ზიანი არ ანაზღაურდება, როდესაც მსესხებელი არ დააბრუნებს სესხს, რადგან საქართველოს კანონმდებლობაში არ არის განსაზღვრული არც ერთი ნორმა, რომელიც ასეთ შემთხვევაში მიანიჭებდა გამსესხებელს მორალური ზიანის ანაზღაურების მოთხოვნას.

---

<sup>46</sup> მზია თოდუა, ჰუბ ვილმსი ვალდებულებითი სამართალი თბილისი , საია 2006 წელი. გვ. 134

იმისათვის, რომ პრაქტიკულად განვსაზღვროთ მორალური ზიანის ანაზღაურების ნორმატიული ფარგლები, რომელსაც ადგენს სამოქალაქო კოდექსი. საჭიროა განვიხილოთ არსებული პრაქტიკა. ამასთან დაკავშირებით მნიშვნელოვანია საკასაციო სასამართლოს განმარტება საქმეზე<sup>47</sup> სადაც სასამართლომ განმარტა: საკასაციო პალატა ყურადღებას ამახვილებს იმ გარემოებაზე, რომ სამოქალაქო კოდექსის 413-ე მუხლის პირველი ნაწილის მიხედვით არაქონებრივი ზიანისათვის ფულადი ანაზღაურება შეიძლება მოთხოვნილ იქნეს მხოლოდ კანონით ზუსტად განსაზღვრულ შემთხვევაში გონივრული და სამართლიანი ანაზღაურების სახით.

სამოქალაქო კოდექსის 413-ე მუხლი აფუძნებს არაქონებრივი (მორალური) ზიანის ანაზღაურების შესაძლებლობას ქართულ კანონმდებლობაში. 413-ე მუხლის პირველი ნაწილის მიხედვით მორალური ზიანი ექვემდებარება ანაზღაურებას, თუმცა კანონმდებელი იქვე უთითებს, რომ მორალური ზიანი შეიძლება ანაზღაურდეს მხოლოდ მაშინ, როცა კანონით პირდაპირ გვაქვს მითითება ამის შესახებ. შეგვიძლია ვთქვათ, რომ სამოქალაქო კოდექსი არ იძლევა არაქონებრივი (მორალური) ზიანის დეფინიციას. ეს საკითხი დოქტრინისა და სასამართლო პრაქტიკის მიხედვით უნდა გადაწყდეს.

იმისათვის, რომ პრაქტიკულად განვსაზღვროთ მორალური ზიანის ანაზღაურების ნორმატიული ფარგლები, რომელსაც ადგენს 413-ე მუხლის პირველი ნაწილი, საჭიროა განვიხილოთ არსებული პრაქტიკა. ამასთან დაკავშირებით მნიშვნელოვანია საკასაციო სასამართლოს განმარტება საქმეზე (სუსგ, N-ას-14-466-05) „საკასაციო პალატა ყურადღებას ამახვილებს იმ გარემოებაზე, რომ სამოქალაქო კოდექსის 413-ე მუხლის პირველი ნაწილის იმპერატიული მოთხოვნაა, რომ არაქონებრივი ზიანისათვის ფულადი ანაზღაურება შეიძლება მოთხოვნილ იქნეს მხოლოდ კანონით ზუსტად განსაზღვრულ შემთხვევებში გონივრულ და სამართლიანი ანაზღაურების სახით.“

ამდენად, მორალური ზიანის ანაზღაურების საფუძველია, სკ-ის 413-ე მუხლი, რომელშიც განსაზღვრულია მორალური ზიანის ანაზღაურების ფარგლები- მორალური

---

<sup>47</sup> სუსგ #-ას- 14-466-05 413-ე მუხლთან დაკავშირებით.

ზიანი ანაზღაურდება მხოლოდ მაშინ, როდესაც აღნიშნულის შესახებ მითითებულია საქართველოს კანონმდებლობაში.

სკ-ის 413-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, კანონი ზუსტად განსაზღვრავს, თუ რომელი სიკეთის ხელყოფის შემთხვევაში შეიძლება დაზარალებულმა მოითხოვოს ანაზღაურება არაქონებრივი ზიანისათვის. ამდენად, კანონის მიზანია, შეამციროს, შეზღუდოს ამ ნორმით გათვალისწინებული შედეგის დაუსაბუთებელი გაფართოება, რათა უზრუნველყოფილ იქნეს სამოქალაქო ბრუნვის სტაბილურობა და წესრიგი. განსახილველ შემთხვევაში პირველადი ზიანი გამონვეული იყო მოპასუხის ისეთი ბრალეული ქმედებით, რომლითაც ხელყოფილ იქნა მოსარჩელის არა ჯანმრთელობა, არამედ – ქონება. სკ-ის 413-ე მუხლის მიზნებიდან გამომდინარე, არაქონებრივი ზიანისათვის ანაზღაურება გათვალისწინებულია ჯანმრთელობისათვის ვნების მიყენების შედეგად გამონვეული სულიერი, ფსიქიკური ტანჯვის გამო, და არა – ქონებრივი ზიანის გამო სულიერი ტანჯვით გამონვეული ჯანმრთელობის მოშლის შემთხვევებზე.

### **3.2 მორალური ზიანის ოდენობის განსაზღვრის კრიტერიუმები.**

სამოქალაქო კოდექსი მხოლოდ ზოგად ჭრილში განსაზღვრავს მორალური ზიანის ანაზღაურების პრინციპებს. 413- ე მუხლის მიხედვით, მორალური ზიანი უნდა ანაზღაურდეს „გონივრული და სამართლიანი ანაზღაურების სახით“ არსებითად გონივრული ანაზღაურება იმავდროულად სამართლიანი ანაზღაურებაა და პირიქით, სამართლიანი ანაზღაურება შეუძლებელია არ იყოს გონივრული. თვით შინაარსი ასეთი ანაზღაურებისა დგინდება სასამართლო პრაქტიკის საფუძველზე. მართალია, ქართულ სასამართლო პრაქტიკაში საკმაოდ ხშირია მორალური ზიანის ანაზღაურების შემთხვევები, მაგრამ რაიმე საერთო კრიტერიუმების გამოკვეთა ჯერ-ჯერობით ჭირს. უცხოურ სასამართლო პრაქტიკასა და დოქტრინაში ანაზღაურების საფუძველს შეადგენს სწორედ რომ სამართლიანი ანაზღაურება. ვინაიდან მორალური ზიანი თავის ფორმით

სპეციფიკური მოვლენაა, შეუძლებელია აქ ანაზღაურების მიზანი იყოს სრული კომპენსაცია.

ძალიან ხშირად დამდგარი შედეგების გამოსწორება შეუქცევადი მოვლენაა და როგორც დიდხანს არ უნდა იყოს კონპენსაცია, იგი მაინც ვერ დააბრუნებს დაზარალებულს წარსულში.

კომპენსაციის მიზანია მორალური ზიანით გამოწვეული ტკივილების შემსუბუქება.<sup>48</sup>

უცხოური სასამართლო პრაქტიკა იმას მონიშნავს, რომ ფულადი კონპენსაცია უარყოფითი ემოციების გასაქარწყლებლადაა მიმართული.<sup>49</sup> ამიტომაცაა, რომ მორალური ზიანის ოდენობის განსაზღვრისას სასამართლომ მხედველობაში უნდა მიიღოს, როგორც დაზარალებულის სუბიექტური დამოკიდებულება ასეთი ზიანის სიმძიმის მიმართ, ისე ობიექტური გარემოებანი, რითაც შეიძლება მისი ამ კუთხით შეფასება, როგორცაა; ხელყოფილი სიკეთე, პატივი და ღირსება, პირადი თავისუფლება, ყალბი და სახელის გამტეხი ცნობების ხასიათი და მისი გავრცელების სფერო, დაზარალებულის ცხოვრების პირობები და ასე შემდეგ.

ამრიგად მორალური ზიანის ოდენობის განსაზღვრის კრიტერიუმებისას ძალიან ბევრ გარემოებაზე უნდა მიექცეს ყურადღება რათა გათვალისწინებული იქნეს ყველა ის შესაძლო ზიანის მიყენების ხარისხი რაც იმ მომენტში შეიძლება მიაღწეს დაზარალებულ მხარეს.

### **3.3 მორალური/ არაქონებრივი ზიანის კონპენსაციის განსაზღვრის პრინციპები და პრობლემები კანონმდებლობასა და სასამართლო პრაქტიკაში.**

მორალური ზიანის ანაზღაურებას აკისრია სამ ფუნქცია; პირვრლი-დააკმაყოფილოს დაზარალებული; მეორე--გემოქმედება მოახდინოს ზიანის მიმყენებელზე; მესამე-თავიდან აიცილოს პიროვნული უფლებების ხელყოფა სხვა

<sup>48</sup> საქართველოს სამოქალაქო კოდექსის კომენტარი წიგნი მესამე თბილისი 2014 წ გვ.473

<sup>49</sup> შალვა ჩიკვაშვილი მორალური ზიანი სამოქალაქო სამართალში თბილისი 1998 წ გვ 68

პირების მიერ მორალური ზიანის ანაზღაურების უმთავრეს მიზანს არ შეადგენს ხელყოფილი უფლებების რესტიტუცია, რაც სრულიად შეუძლებელიცაა ქონებრივი ზიანისაგან განსხვავებისთვის რადგან მიყენებულ ზიანს ფულადი ექვივალენტი არ გააჩნია და შეუძლებელია მისი სრული კონპენსაცია. ძალიან ხშირად დამდგარი შედეგების გამოსწორება შეუქცევადი მოვლენაა და როგორი დაცულიც არ უნდა იყოს კომპენსაცია, იგი მაინც ვერ აღუდგენს დაზარალებულს ხელყოფამდე არსებულ სრულ მდგომარეობას. კონპენსაციის მიზანია მოსარჩლის გამართლება საზოგადოებში თვალში და მორალური ზიანით გამოწვეული ტკივილის შემსუბუქება. კომპენსაცია მიმართულია უარყოფითი ემოციების გასაქარწყლებლად.

როგორც ევროპაში ასევე საქართველოში პიროვნება აღიარეს უზენაეს ღირებულებად და მისი დაცვის მექანიზმად დაანესა არაქონებრივი ზიანის მატერიალური ფორმით ანაზღაურების პრინციპი რომელიც აისახა სსკ-შიც. სახელდობრ, სსკ-ის მე-18 მუხლის მე-6 ნაწილის თანახმად, პირადი სიკეთეების ბრალეული ქმედებისას უფლებამოსილ პირს მიენიჭა უფლება, მოითხოვოს არაქონებრივი ზიანის ანაზღაურებაც.<sup>50</sup> ვინაიდან არამატერიალური, ზიანის ცნების წარმოდგენა რთულია, ევროკავშირის წევრი სახელმწიფოები მას განმარტავენ ზოგად ჭრილში როგორც ქონებრივი ზიანის საპირისპიროდ<sup>51</sup> მოვლენას და არამატერიალურ ზიანად განიხილავენ ისეთ ზიანს რომლის გამოთვლაც უშვალოდ ფულით შეუძლებელია.

კომპენსაციის ოდენობა უსაშველოდ არ უნდა იყოს გაზრდილი და არ უნდა მოწყდეს რეალობას მისი მიზანი არ უნდა იყოს მოპასუხის დასჯა, რის გამოც კონპენსაციის განსაზღვრის დროს გათვალისწინებული უნდა იყოს მოპასუხის ქონებრივი მდგომარეობა.<sup>52</sup> გადაწყვეტილების გამოტანისას ყველა იმ გარემოებაზე უნდა იქნეს ყურადღება გამახვილებული რომელმაც შეიძლება დაარღვიოს ეს უფლება და მისი

<sup>50</sup> ჭანტურია. ლ პირადი არაქონებრივი უფლებები თანამედროვე სამოქალაქო სამართალში უურნალი. "სამართალი" გვ 30

<sup>51</sup> სამართლის უურნალი თესეუ თბილისი 2017 გვ 168

<sup>52</sup> საქართველოს უზენაესი სასამართლოს რეკომენდაციები სამოქალაქო სამართლის პრობლემატიკურ საკითხებზე, თბილისი 2007 წ

კანონიერება რადგან დღეისათვის საღნიშნული საკითხი ძალზედ მნიშვნელოვანია და დემოკრატიული საზოგადოებისათვის დიდად ფაქიზი თემაა რათა არ მოხდეს ადამიანისათვის იმ უფლების შელახვა რასაც არაქონებრივი ყფლება ეწოდება.

არაქონებრივი უფლება ადამიანს გააჩნია უფლებაუნარიანობის წარმოშობიდან მის გარდაცვალებამდე (უფლების დაცვა შესაძლებელია პირის გარდაცვალების შემდეგაც, მხოლოდ არაქონებრივი ზიანის ანაზღაურების კუთხით).<sup>53</sup> მასზე უარის თქმა პიროვნებას სურვილის შემთხვევაშიც კი არ შეუძლია<sup>54</sup>. ამასთან, მნიშვნელობა არ აქვს, თუ რა სახის რეპუტაციით სარგებლობს პირი საზოგადოებაში, მას არაქონებრივი უფლებები უნარჩუნდება და შესაბამისად, მისი დაცვის უფლებამოსილებაც გააჩნია.<sup>55</sup>

როგორც უკვე ავღნიშნეთ აქონებრივი უფლებები პიროვნებას უფლება უნარიანობის მომენტიდან წარმოეშობა და მისი შელახვის უფლება არავის არ აქვს.

რაც შეეხება კომპენსაციის საკითხს მისი ოდენობა არ უნდა იყოს გამრდილი და მისი გამოყენების შემთხვევაში დაცული უნდა იყოს ყველა პირობა რათა კანონ შესაბამისი იყოს გადანყვეტილება არაქონებრივ ზიანთან დაკავშირებით.

თ- ნ სარჩელი აღძრა ჯ- ბ-ას წინააღმდეგ და მოითხოვა მოპასუხე, ჯ ბ-ას მიერ გაზეთ ახალ თაობის მეშვეობით გავრცელებული თ ნ-ის პატივისა და ღირსების შემლახველი ცნობების უარყოფა იმავე გაზეთის მეშვეობით.<sup>56</sup>

საკასაციო პალატა თვლის რომ ცნობის გავრცელება იმის შესახებ, რომ პირის მიერ დარღვეული კანონი ,სცილდება სსაქმიან კრიტიკის ფარგლებს და იგი იწვევს ადრესატისპატივის ანუ საზოგადოებრივი რეპუტაციის დისკრედიტაციას ასეთ შემთხვევაში დაირღვა კრიტიკის დასაშვები ფარგლები, შესაბამისად კრიტიკის მიმართ თმების ვალდებულებაც შეწყდა, დიფამაციური ცნობების შემდეგ მის გამავრცელებელს ეკისრება

<sup>53</sup> იხ.სუს გადანყვეტილება 27 დეკემბერი 2012 წ #ბს-78

<sup>54</sup> გოცირიძე, საქართველოს კონსტიტუციის კომენტარი, თავი მეორე, საქართველოს მოქალაქეობა. ადამიანის ძირითადი უფლებანი და თავისუფლებანი, 2013, მუხ. 17, გვ. 109

<sup>55</sup> საჯაია, ავტორის პირადი არაქონებრივი უფლებები, ნაშრომი დოქტორის აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად, თსუ, 2014, გვ. 86.

<sup>56</sup> საქართველოს უზენაესი სასამართლოს გადანყვეტილებანი სამოქალაქო საქმეებზე, თბილისი 2017 წ #783-02

სამოქალაქო სამართლებრივი პასუხისმგებლობა, ანუ იგი ვალდებულია დაამტკიცოს მათი სინამდვილესთან შესაბამისობა.

სკ-ის მე-18 მუხლის მიხედვით არაქონებრივი უფლებათა დაცვის ფორმებად მიჩნეულია, არაქონებრივ უფლებათა, აღიარება ხელმყოფი მოქმედების შეწყვეტა ან მათზე უარის თქმა. ეს ფორმები მიზნად ისახავს დაზარალებულის უფლებების აღდგენას და მათი განხორციელების მოთხოვნა ფიზიკურ პირსაც შეუძლია ხელყოფის ბრალეულობის მიუხედავად, თუ პირადი არაქონებრივი უფლებების ხელყოფა ხორციელდება ვინმეს ბრალეული მოქმედებით. მორალურ ზიანს შეიძლება ხანგრძლივი ხასიათი ჰქონდეს ან თავი იჩინოს როგორც სარჩელის წარდგენისას ისე გადაწყვეტილების გამოტანის შემდეგ.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატამ მნიშვნელოვანი განმარტება გააკეთა სამოქალაქო კოდექსის 413-ე მუხლით გათვალისწინებული არაქონებრივი ზიანის ანაზღაურების თაობაზე (საქმე Nას-1156-1176-2011).

აღნიშნული სამოქალაქო საქმე ეხებოდა ნ. ს-ძის სარჩელს, რომლითაც იგი მოპასუხისგან მოითხოვდა ხანძრის შედეგად ქონების განადგურებით გამოწვეული მორალური ზიანის ანაზღაურებას.

საკასაციო სასამართლომ განმარტა, რომ მოცემული ურთიერთობის თავისებურების გათვალისწინებით, არ არსებობდა მორალური ზიანის ანაზღაურების ნორმატიული საფუძველი, კერძოდ, სამოქალაქო კოდექსის 413-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, არაქონებრივი ზიანისათვის ფულადი ანაზღაურება შეიძლება მოთხოვნილ იქნეს მხოლოდ კანონით ზუსტად განსაზღვრულ შემთხვევებში<sup>57</sup>.

საკასაციო სასამართლომ აღნიშნა, რომ განსახილველი დავის სწორად გადაწყვეტისათვის მნიშვნელოვანი იყო შემოხსენებული ნორმით გათვალისწინებული მიზნის სწორად დადგენა. პალატის განმარტებით, კერძო სამართლით გათვალისწინებული სხვადასხვა ურთიერთობების შედეგად შეიძლება ადგილი ჰქონდეს

---

<sup>57</sup> საქართველოს უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილება 413- მუხლთან დაკავშირებით 2013 წ



მორალურ, სულიერ ტანჯვას, მაგრამ მისი ანაზღაურება დაიშვება მხოლოდ კანონით ზუსტად განსაზღვრულ შემთხვევებში, ე.ი. კანონი პირდაპირ ადგენს, თუ კონკრეტულად რომელი სიკეთის ხელყოფის შემთხვევაში შეიძლება მოითხოვოს დაზარალებულმა არაქონებრივი ზიანისათვის ანაზღაურება. ამდენად, კანონის მიზანია, შეამციროს, შეზღუდოს ამ ნორმით გათვალისწინებული შედეგის დაუსაბუთებელი გაფართოება, რათა უზრუნველყოფილი იქნეს სამოქალაქო ბრუნვის სტაბილურობა და წესრიგი. ადამიანის ჯანმრთელობა წარმოადგენს სკ-ის 413-ე მუხლის მე-2 ნაწილით დაცულ ერთ-ერთ სიკეთეს, რომლის ხელყოფისათვის დაზარალებულმა შეიძლება მოითხოვოს არაქონებრივი (მორალური) ზიანის ანაზღაურება. მითითებული ნორმით დადგენილი შედეგის აუცილებელ პირობას წარმოადგენს ადამიანის ჯანმრთელობის ხელყოფა, რის შედეგად დაზარალებულმა, ასევე განიცადა სულიერი ტანჯვა, ფსიქიკური სტრესი; ამდენად, არაქონებრივი ზიანის ანაზღაურება გათვალისწინებულია ჯანმრთელობისათვის ვნების მიყენების შედეგად გამოწვეული სულიერი, ფსიქიკური ტანჯვის გამო და არა - ქონებრივი ზიანის გამო სულიერი ტანჯვით გამოწვეული ჯანმრთელობის მოშლის შემთხვევაში.

აქედან გამომდინარე, საცხოვრებელ სახლში გაჩენილ ხანძართან დაკავშირებული ფსიქოემოციური სტრესი და ხანძრის გამო გამოწვეული ისეთი უარყოფითი ფაქტორები, როგორცაა უბინაობა, გაუთვალისწინებელი ვალები და ამ ფაქტორებით გამოწვეული ჯანმრთელობის გაუარესება, არ წარმოადგენს მორალური ზიანის ანაზღაურების მოთხოვნის კანონით გათვალისწინებულ საფუძველს, წინააღმდეგ შემთხვევაში, ზემოხსენებული ნორმის მოქმედება უნდა გაგვევრცელებინა ნებისმიერი ქონებრივი ვალდებულების დარღვევისას განცდილი სულიერი ტანჯვის შედეგად ადამიანის ჯანმრთელობის გაუარესებაზე, რაც ყოველად დაუშვებელია.

## თავი .4 არაქონებრივი ზიანის ანაზღაურება კერძო სამართლის ცალკეულ შემთხვევებში.

### 4.1 მორალური ზიანის აღდგენა საქმიანი რეპუტაციის დროს

ტერმინი „რეპუტაცია“ (ლათ. რეპუტატიო- მოფიქრება, აზროვნება) განიმარტება, როგორც „ვისიმე (რისამე) ღირსების, ნაკლის, ხასიათის, მდგომარეობის შესახებ მის მიერვე მოპოვებული საერთო აზრი, საზოგადოებრივი შეფასება.“<sup>58</sup>

საქართველოს უზენაესმა სასამართლომ ერთ-ერთ საქმეზე განმარტა: „საქმიანი რეპუტაციის ქვეშ იგულისხმება საზოგადოების მიერ პირის პროფესიული თუ სხვა საქმიანი თვისებების შეფასება. პროფესია არის ხელობა, საქმიანობა, სპეციალობა, რომელსაც გარკვეული მომზადება სჭირდება და რომლითაც ადამიანი თავს ირჩენს, ხოლო საქმიანი თვისებები, რომელთაც საქმიანი რეპუტაცია გულისხმობს, გააჩნიათ მათ, ვინც მონაწილეობს ეკონომიკურ (კომერციულ) საქმიანობაში. აქედან გამომდინარე, საქმიანი რეპუტაციის შელახვა, რასაც სსკ-ის მე-18 მუხლი ითვალისწინებს, მიმართული უნდა იყოს პირის მიერ განხორციელებული (ან განსახორციელებელი) საქმიანი ოპერაციებისათვის. ასეთი ხელყოფით პირს შეიძლება მიაღდგეს მატერიალური ზიანიც, ე.ი ხელიდან გაუშვას მოგება, დაეკარგოს კლიენტი და სხვა.“<sup>59</sup> რეპუტაციის შემლახავი ცნობების გავრცელებით პირი შესაძლებელია აღქმულ იქნეს დამნაშავედ, რამაც შესაძლოა გამოიწვიოს პირის

<sup>58</sup> მოხელის სამაგიდო ლექსიკონი. 2004წ. გვ 483

<sup>59</sup> საქართველოს უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილება N3/კ376-01, 18 ივლისი, 2001 წელი.

დისკრედიტაცია, რის საფუძველზეც, სავარაუდოა პირმა განიცადოს სერიოზული ფსიქიკური ტრამვა თუ გონებრივი სტრესული მდგომარეობა, რაც გამონვეული იქნება მისი საზოგადოების წინაშე დამცირებით. იურიდიული პირის საქმიანი რეპუტაციის შელახვა სახეზეა მაშინ, თუ გავრცელებული ცნობები ზეგავლენას ახდენს და ეწინააღმდეგება პირის მიერ შერჩეულ საკუთარ „საბაზრო სახეს“, ანუ კომერციულ შეხედულებას, რომლის დამკვიდრებაც იურიდიული პირს სურს საზოგადოებაში და გავრცელებული ინფორმაცია მას მესამე პირებთან საქმიან ურთიერთობებში განაცდევინებს მარცხს. როგორც ავლნიშნეთ საქმიანი რეპუტაციის დროს მიყენებული ზიანი აუცილებლად უნდა ანაზღაურდეს.

საქმიანი რეუტაციის ქვეშ იგულისხმება საზოგადოების მიერ პირის პროფესიული თუ სხვა საქმიანი თვისებების შეფასება,<sup>60</sup> ხოლო მის შელახვას პირის აღნიშნული თვისებების დისკრედიტაცია წარმოადგენს.<sup>61</sup> საქმიანი რეპუტაციის ასეთი დეფინიცია კერძო პირის საქმიანობის საკითხს ეხება.<sup>62</sup> სახელმწიფო პოლიტიკურ ასევე თანამდებობის პირებზე, მათი საქმიანობის ფარგლებიდან გამომდინარე, უფლების განმარტების აღნიშნული საშუალება განსხვავებულად უნდა განიმარტოს.<sup>63</sup> პირის საქმიანი რეპუტაცია არის საქმიანი ბრუნვის სფეროში კონკრეტული პირის საქმიანი თვისებების, უნარების შესახებ შექმნილი აზრი. ასეთი აზრი საზოგადოებაში, სოციუმში ყალიბდება,<sup>64</sup> რამაც შესაძლებელია განაპირობოს როგორც მისი სამომავლო წარმატება, ისე წარუმატებლობა.<sup>65</sup> ამდენად, ფიზიკური პირის საქმიან რეპუტაციაში შესაძლებელია მისი პატივი და ღირსება მოიაზრებოდეს,<sup>66</sup> ვინაიდან, საქმიანი რეპუტაცია გათანაბრებულია კონკრეტული პროფესიის მქონე პირის ავტორიტეტთან. ნებისმიერი განცხადება, რომელშიც პირის სახელია მითითებული საქმიანი რეპუტაციის შელახვად ყოველთვის არ ჩაითვლება. მაგალითად, პირის სამსახურიდან გათავისუფლება (შრომითი

<sup>60</sup> სერგი ჯორბენაძე დისკრედიტაციიდან ნინიძე, სკ-ის კომენტარი, წიგნი I, მუხ. 18, გვ. 61.

<sup>61</sup> საქართველოს უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილება, 18 ივლისი 2001, N3კ/376-01

<sup>62</sup> საქართველოს უზენაესი სასამართლოს განჩინება, 22 მარტი 2006, Nბს-1324-900(კ-05)

<sup>63</sup> იქვე.

<sup>64</sup> თბილისის სააპელაციო სასამართლოს განჩინება, 25 ივნისი 2013, N2ბ/696-13

<sup>65</sup> ცერცვაძე, ძლიერიშვილი/სვანაძე/ცერცვაძე გ./ცერცვაძე ლ./ჯანაშია/რობაქიძე, სახელმეკრულებო სამართალი, თბილისი, 2014, გვ. 669.

<sup>66</sup> საქათველოს უზენაესი სასამართლოს განჩინება, 1 დეკემბერი 2005, Nას-448-775-05.

ურთიერთობის შეწყვეტა) ან აღნიშნულის შესახებ ბრძანების გამოქვეყნება და სხვ. ამასთან, შესაძლებელია განცხადებაში კონკრეტული პირი არ იყოს უშუალოდ ნახსენები, მაგრამ განცხადების შინაარსი მის რეპუტაციას მაინც ლახავდეს.<sup>67</sup> თუმცა, ზოგიერთ შემთხვევაში პირიქითაა. მაგალითად, ავტორის სახელის უნებართვო ან არასწორი გამოყენება შეიძლება მისი პატივისა და რეპუტაციისთვის უფრო მეტი ზიანის მომტანი იყოს, ვიდრე სახელის არმითითება.<sup>68</sup> სახელმწიფო პოლიტიკურ, ასევე, თანამდებობის პირებზე დიფამაციის არსებობისას, საქმიანი რეპუტაციის გავრცელება ამ უკანასკნელთა მიმართ უფრო მეტად შებოჭილი ხასიათისაა. დიფამაცია სახეზეა მაშინ, როდესაც ინფორმაცია სინამდვილესთან შეუსაბამოა. <sup>69</sup> თუმცა, საქარო პირის ე.წ. „თმენის ვალდებულების“ გათვალისწინებით, უფლების შელახვა შესაძლებელია ასეთ დროს სახეზე არ იყოს.

45-ე მუხლი ძირითადი უფლებების თაობაზე აკეთებს დათქმას, რომლის მიხედვითაც, კონსტიტუციით მონესრიგებული ძირითადი უფლებანი, თავისი შინაარსის გათვალისწინებით, იურიდიულ პირებზეც ვრცელდება. აქედან გამომდინარე, შესაძლებელია აღვნიშნოთ, რომ იურიდიული პირი, გარკვეული სპეციფიკის გათვალისწინებით ისევე გამოდის სამართლებრივ ურთიერთობაში, როგორც ფიზიკური პირი და მასზე ანალოგიური დაცვის საშუალება ვრცელდება.<sup>70</sup>

თუმცა უნდა აღინიშნოს, რომ იურიდიული პირების მონაწილეობა სამოქალაქო-სამართლებრივ ურთიერთობებში სპეციფიურია, გამომდინარე იქიდან, რომ მასზე ვერ გავრცელდება ისეთი ძირითადი უფლებები, რომლებიც თავისებრივად მხოლოდ ადამიანს უკავშირდება. იურიდიული პირის არაქონებრივი უფლებების არსი უწინარესად საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 27-ე მუხლის მე-5 პუნქტიდან გამომდინარეობს, რომლის საფუძველზეც, ასეთ უფლებას საქმიანი რეპუტაცია წარმოადგენს<sup>71</sup>.

<sup>67</sup> საქართველოს უზენაესი სასამართლოს განჩინება, 1 დეკემბერი 2005, Nას-448-775-05.

<sup>68</sup> საჯაია, ავტორობისა და სახელის უფლება - ქართული საავტორო სამართალი და თანამედროვე ტენდენციები, სამართლის ჟურნალი, 1/2013, გვ. 232

<sup>69</sup> აღფაიძე, მედია სამართალი, გვ. 239.

<sup>70</sup> ბურდული, ი, საქართველოს კონსტიტუციის კომენტარი, თავი მეორე.2013 წ გვ 71

<sup>71</sup> გოცირიძე, საქართველოს კონსტიტუციის კომენტარი, თავი მეორე, საქართველოს მოქალაქეობა. ადამიანის ძირითადი უფლებანი და თავისუფლებანი, 2013, მუხ. 17, 109.

იურიდიულ პირებთან მიმართებით, მორალური ზიანის ანაზღაურების საკითხი მეტად სპეციფიურია, ვინაიდან იგი ვერ განიცდის ფიზიკურ (ფსიქიკურ) ტანჯვას და შესაბამისად ვერ მიიღებს უარყოფით ემოციებსა და განცდებს. იურიდიული პირის არაქონებრივი უფლებების არსი უნინარესად საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 27-ე მუხლის მე-5 პუნქტიდან გამომდინარეობს<sup>72</sup>, რომლის საფუძველზეც, ასეთ უფლებას საქმიანი რეპუტაცია წარმოადგენს. იურიდიულ პირს არ გააჩნია მე-18 მუხლით დაცული ისეთი სიკეთე, როგორც არის პირადი ხელშეუხებლობა, პირადი ცხოვრების საიდუმლოება, პატივი და ღირსება. შესაბამისად აღნიშნული საფუძველებით იურიდიულ პირს მორალური ზიანის ანაზღაურების მოთხოვნის უფლება არ გააჩნია.

„ფიზიკური და ზნეობრივი ტანჯვა“ სათანადოდ ვერ წარმოაჩენს ზიანის არსს იურიდიული პირის მიმართ, რადგან ასეთი ტანჯვა დამხასიათებელია მხოლოდ ფიზიკური პირისათვის, თუმცა მოერალური ზიანის ანაზღაურების უფლება იურიდიულ პირსაც აქვს, როდესაც მისი საქმიანი რეპუტაციაა ხელყოფილი.

სამოქალაქო კოდექსის მე-18 მუხლი იურიდიულ პირს ანიჭებს შესაძლებლობას მოითხოვოს მორალური ზიანის ანაზღაურება მხოლოდ საქმიანი რეპუტაციის შელახვისას, ანუ მაშინ, როდესაც შეილახება მისი კომერციული სიკეთე, თუ პრესტიჟი, რომლებიც მოქმედებენ უარყოფითად კომპანიის ორგანიზაციის მომავალი მოგების მიღების შესაძლებლობაზე. იურიდიული პირის არაქონებრივი უფლების შელახვის შემთხვევაში, სახეზე უნდა იყოს საქმიანი რეპუტაციის შელახვის იმგვარი ფაქტი, რომ ეს უკანასკნელი ვეღარ ახორციელებდეს მის საქმიანობას. ეს ის შემთხვევაა, როდესაც არაქონებრივი ინტერესის შელახვამ შესაძლებელია სერიოზული ქონებრივი დანაკლისი გამოიწვიოს. დასაწყისში აღინიშნა, რომ სამოქალაქო კოდექსი „პირის“ ცნებით გვაძლევს მინიშნებას მორალური ზიანის ანაზღაურების მოთხოვნის უფლების მქონე სუბიექტებზე, თუმცა რეალურად ასეთი ფორმულირება ამცირებს იურიდიული პირის შესაძლებლობა დაიცვას პირადი არაქონებრივი უფლებები.

---

<sup>72</sup> საქართველოს უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილება #3/376-01 18 ივლისი 2001 წელი

## 4.2 პირადი საიდუმლოების დარღვევის შემთხვევაში მიყენებული

### არაქონებრივი ზიანის ანაზღაურება.

კონსტიტუციის თანახმად, თვითოეულ ადამიანს გააჩნია პირადი საიდუმლოების უფლება.<sup>73</sup> როგორც წესი, ხშირად უკავშირდება ოჯახურ ურთიერთობებიდან გამომდინარე საიდუმლოების დაცვასაც. აქედან გამომდინარე პირადი დაოჯახური საიდუმლო მოქალაქის მოქალაქის პირადი არაქონებრივ უფლებებს განეკუთვნება და მათ იცავს სამართლის სხვადასხვა დარგის მომწესრიგებელი ნორმები. პირადი და ოჯახური საიდუმლოს საგანს წარმოადგენს ინფორმაცია პიროვნების შესახებ.<sup>74</sup>

პიროვნების ხელშეუხებლობაში როგორც ფიზიკური, ისე ვერბალური ხელყოფისგან დაცვის სავალდებულობა იგულისხმება.<sup>75</sup> მასში მოიაზრება თავისუფლება, როგორც უფლება, რომელიც პირს კონსტიტუციით აქვს მინიჭებული. მისი შეზღუდვა შესაძლებელია სწორედ არაქონებრივი უფლების შელახვის საფუძველი გახდეს.<sup>76</sup> პირადი ცხოვრების საიდუმლოება კერძო პირის პერსონალური მონაცემებია. მართალია, ინფორმაციის თავისუფლებისა და გამოხატვის თავისუფლების არსიდან გამომდინარე, საჯარო ინტერესის შემთხვევაში, მონაცემების გასაჯაროება დასაშვებია, თუმცა, პრაქტიკული თვალსაზრისით, კერძო პირის პირადი მონაცემები ამგვარ ფარგლებში არ ექცევა.<sup>77</sup> აღნიშნული გამომდინარეობს იმ ფაქტიდან, რომ პირადი ცხოვრების საიდუმლოება ისეთი სახის ცხოვრებისეულ მომენტებს მოიცავს, რომელიც მართალია რეალურად მოხდა, მაგრამ ინდივიდს მისი გასაჯაროება არ სურდა. <sup>78</sup> პირად სფეროში ჩარევას უნდა გააჩნდეს მხოლოდ კანონით ბუსტად განსაზღვრული მიზანი. რამდენადაა

<sup>73</sup> ბურდული, ი, საქართველოს კონსტიტუციის კომენტარი, თავი მეორე.2013 წელი გვ 78

<sup>74</sup> შალვა ჩიკვაშვილი მორალური ზიანი სამოქალაქო სამართალში 1998 წ გვ147

<sup>75</sup> ცერცვაძე, ძლიერიშვილი/სვანაძე/ცერცვაძე გ./ცერცვაძე ლ./ჯანაშია/რობაქიძე, სახელმეკრულებო სამართალი, თბილისი, 2014, გვ. 667.

<sup>76</sup> საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2012 წლის 24 ოქტომბრის N1/2/519 გადაწყვეტილება საქმეზე საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია და საქართველოს მოქალაქე თამარ ჩუგოშვილი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ.

<sup>77</sup> იხ. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2014 წლის 8 ოქტომბრის N2/4/532,533 გადაწყვეტილება საქმეზე საქართველოს მოქალაქეები - ირაკლი ქემოკლიძე და დავით ხარაძე საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ..

<sup>78</sup> საქართველოს უზენაესი სასამართლოს განჩინება, 14 აპრილი 2004, Nას-593-1241-03

ასეთი სახის მიზანი გამართლებული მაშინ, როდესაც ფარული ჩანაწერი სასამართლოს მიერ მტკიცებულებად შეიძლება იქნეს მიღებული, ცალკე განხილვის თემაა, თუმცა საქართველოს საერთო სასამართლოებში არსებობს ამგვარი ჩანაწერის მტკიცებულებად მიღების პრაქტიკა,<sup>79</sup> რაზე დაყრდნობითაც ახდენს სასამართლო მსჯელობას.<sup>80</sup> პირადი ცხოვრების საიდუმლოების დარღვევისას მნიშვნელოვანია იმ ფაქტის დადგენა, რამდენად სურდა ან არ სურდა პირს, გავრცელებულიყო საჯაროდ პირადი საიდუმლოების შემცველი მონაცემები,<sup>81</sup> ასევე, თუ რამდენმა პირმა შეიტყო საიდუმლოების ფაქტი და რამდენად შეიძლება გაიზარდოს აღნიშნულ პირთა წრე.<sup>82</sup> ზოგიერთ შემთხვევაში შესაძლებელია საზოგადოებრივი ინტერესი იმდენად მაღალი იყოს, რომ ამ უკანასკნელმა გადაწონოს კანონიერად დადგენილი კონფიდენციალურობის ვალდებულება.<sup>83</sup> ამის საპირისპიროდ, ასეთ შემთხვევაში მნიშვნელოვანია ზღვარი მართებულად იქნეს გავლებული, რათა ერთი ინტერესის დაცვის მიზნით სხვათა უფლება არ დაირღვეს/შეილახოს.

ხოლო რაც შეეხება სამართალწარმოების საკითხს პირად ცხოვრებასთან დაკავშირებით. სამოქალაქო სასამართლებრივი სუბიექტები მხარეების სახით მოქმედებენ კერძო ავტონომიისა და თანასწორობის საწყისებზე დაყრდნობით. თუმცა ეს თავისუფლება შეიძლება დაექვემდებაროს შემზღუდავს, თუ ის მესამე პირთა უფლებას ხელყოფს. განსაკუთრებულია თავისუფლების შემზღუდავ დელიქტურ სამართალში აკრძალვების მეშვეობით.<sup>84</sup> სწორედ ამ გაგებითაა მნიშვნელოვანი მხარეთა მონაწილეობა საპროცესო ურთიერთობებში, რათა მათ საფრთხე არ შეუქმნან პირადი ცხოვრების დაცვას. საგულისხმოა ის ფაქტი რომ მხარეები უნდა იყვნენ სრულად ინფორმირებულები საქმის ყველა ფაქტისა და გარემოების შესახებ. თუ მხარეებისათვის

<sup>79</sup> თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის დადგენილება, 3 ოქტომბერი 2014, N4/6241-14.

<sup>80</sup> თბილისის სააპელაციო სასამართლოს განჩინება, 7 ოქტომბერი 2014, N2ბ/6800-13

<sup>81</sup> კობახიძე, სამოქალაქო სამართალის ზოგადი ნაწილი, გვ. 262 2011წ

<sup>82</sup> თუმანიშვილი, შესავალი საქართველოს კერძო სამართალში, გვ. 70. 2012 წ

<sup>83</sup> ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრაქტიკა: *Fressoz and Roire v. France* (29183/95, 1999); *Radio Twist, A.S. v. Slovakia* (622002/00, 2006); ასევე, *Guja v. Moldova* (14277/04, 2009

<sup>84</sup> იხ მიხეილ ბიჭია პირადი ცხოვრების დაცვა საქართველოს სამოქალაქო სამართალში თბილისი 2012 წ. გვ263

ყველაფერი არ იქნება ცნობილი, მათ შეექმნებოდათ, შესაძლებლობა, შესაბამისი პუნქტებით დაეკისრებინათ განსაზღვრული საპროცესო მდგომარეობა და სასამართლოს განხილვაზე უარი ეთქვა.<sup>85</sup>

მხარეებს ეცნობებათ ეცნობებათ ინფორმაცია საიდუმლო საიდუმლო სფეროების შესახებ ასევე საპროცესო მოქმედებების დებით; საიდუმლოს მფლობელი განსაზღვრულწილად უკვე ხდება საიდუმლოს მატარებელი.

არ უნდა დავივიწყოთ ის ფაქტი, რომ მორალური ზიანის კონვენსაცია წარმოადგენს პირად ან ოჯახურ საიდუმლოებაზე უფლების დაცვის ერთ-ერთ სამოქალაქო-სამართლებრივ მეთოდს.<sup>86</sup>

ყოველთვის როცა საქმე ეხება პირად ან ოჯახურ საიდუმლოს ხელყოფას, საყურდღებოა, თუ რამდენად ფართოა წრე იმ პირებისა, ვინც უკვე შეიტყო ან მომავალში შეიტყობს ცნობებს,<sup>87</sup> რომლებიც პირადად ოჯახის საიდუმლოს შეადგენდა.

### **4.3 სიტყვისა და თავისუფლების შემთხვევაში მიყენებული არაქონებრივი ზიანის ანაზღაურება.**

საქართველოს კანონი სიტყვისა და გამოხატვის შესახებ პირდაპირ მიგვითითებს იმ გარემოებაზე რომ დაუშვებელია პიროვნებას შეეზღუდოს აღნიშნული უფლება რადგან იგი კანონით არის დაცული და გარანტირებული აღნიშნული კანონის მე-3-ე მუხლის პირველი ნაწილი პირდაპირ მიგვითითებს რმო; სახელმწიფო ცნობს და იცავს სიტყვისა და გამოხატვის თავისუფლებას, როგორც წარუვალ და უზენაეს ადამიანურ ფასეულობებს. ხელისუფლების განხორციელებისას ხალხი და სახელმწიფო შეზღუდულნი არიან ამ უფლებებითა და თავისუფლებებით, როგორც უშუალოდ მოქმედი სამართლით. მკანონი პირდაპირ მიუთითებს იმ გარემოებაზე რომ ყველა ადამიანმა უნდა გამოხატოს თავისი აზრი და შეხედულებები ღიად და საჯაროდ დაუშვებელია ამ უფლების შელახვა ვინმეს მხრიდან ნ სახელმწიფოს მხრიდან

<sup>85</sup> მიხეილ ბიჭია პირადი ცხოვრების დაცვა საქართველოს სამოქალაქო სამართლის მიხედვით გვ.263 2012 წელი

<sup>86</sup> შ. ჩიკვაშვილი მორალური ზიანი სამოქალაქო სამართალში თბილისი 1998 გვ.148

<sup>87</sup> მორალური ზიანი სამოქალაქო სამართალში 1998 გვ 149

<sup>88</sup> საქართველოს კანონი სიტყვისა და გამოხატვის შესახებ 2004 წ



რადგან იგი არის წარუვალი და უზენაესი ადამიანური ფასეულობა. და მისი აკრძალვა ან შეზღუდვა დაუშვებელია.

გამონაკლის შემთხვევებში როდესაც ხდება ამ უფლების შეზღუდვა დაზარალებულ მხარეს უფლება აქვს მიმართოს სასამართლოს დარღვეული უფლების აღსადგენად. აღნიშნული კანონის მე-6-ე მუხლის თანახმად პიროვნებას უფლება აქვს სარჩელით მიმართოს სასამართლოს ამ კანონით აღიარებული და დაცული უფლებების ხელყოფის თავიდან აცილების ან აღკვეთის, აგრეთვე უკანონო ზემოქმედებისა და ჩარევის შედეგად დარღვეული უფლების აღდგენის მოთხოვნით.<sup>89</sup>

მაგრამ არსებობს ისეთი შემთხვევები როდესაც კანონი თავდ ზღუდავ ღნიშნულ უფლებას გამონაკლის შემთხვევაში ეს შეიძლება იყოს კერძოდ აღნიშნული კანონის მერვე მუხლის პირველი ნაწილით გათვალისწინებული მოვლენა როდესაც ამ კანონით აღიარებული და დაცული უფლებების ნებისმიერი შეზღუდვა შეიძლება დაწესდეს მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ეს გათვალისწინებულია ნათელი და განჭვრეტადი, ვინროდ მიზანმიმართული კანონით და შეზღუდვით დაცული სიკეთე აღემატება შეზღუდვით მიყენებულ ზიანს.<sup>90</sup>

ასევე მნიშვნელოვან ყურადღებას ამახვილებს ადამიანის უფლებათა კონვენცია აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით ღნიშნული კონვენციის მე-10-ე მუხლი პირდაპირ ხაზს უსვავს და იცავს აღნიშნულ უფლებას გამოხატვის თავისუფლება ძირითადი და უნივერსალური ღირებულებაა. ყველას აქვს უფლება გამოხატვის თავისუფლებაზე, ეს უფლება მოიცავს პირის თავისუფლებას, ჰქონდეს შეხედულებები, მიიღოდ და გაავრცელოს ინფორმაცია და მოსაზრებები საჯარო ხელისუფლების მიერ ჩარევის გარეშე და საზღვრების მიუხედავად.

გამოხატვის თავისუფლება წარმოადგენს დემოკრატიული საზოგადოების ერთ-ერთ არსებით საფუძველს, მისი პროგრესისა და თვითოეული ადამიანის განვითარების ერთ-ერთ ძირითად პირობას მე- 10 მუხლის მე-2 პუნქტის თანახმად, იგი გამოიყენება არა მარტო ინფორმაციისა და მოსაზრებების მიმართ რომლებსაც ბევრი იზიარებს, ან

<sup>89</sup> სიტყვისა და გამოხატვის შესახებ საქართველოს კანონი მუხლი მე-6-ე

<sup>90</sup> სიტყვისა და გამოხატვის შესახებ საქართველოს კანონი მუხლი მე-8-ე

გულგრილად ეკიდება, არამედ იმათ მიმართ, რომელიც შეურაცხყოფელი, თავზარდამცემი ან შემაშფოთებელია სახელმწიფოს ან მოსახლეობის ნაწილისათვის. ამგვარია მოთხოვნები პლურალიზმისა, შემწყნარებლობისა და ფართო თვალთახედვისა, რომელთა გარემოცმეუძლებელია დემოკრატიული საზოგადოების არსებობა.<sup>91</sup> ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მე-10-ე მუხლი გამოიყენება ყველასთან მიმართებაში, იქნება ეს ფიზიკური პირი თუ იურიდიული პირი.

გამოხატვის თავისუფლება სამოქალაქო სამართალში არ არის აბსოლუტური. მისი შეზღუდვის დასაშვებობა, პიროვნების არაქონებრივი უფლებების დაცვისკენაა მიმართული, რათა არ მოხდეს დებინტორმაციის გავრცელება<sup>92</sup> და სხვ. გამოხატვის თავისუფლების შეზღუდვა დასაშვებია კანონით გათვალისწინებულ შემთხვევებში, თანაზომიერების პრინციპის დაცვით, როდესაც შეზღუდვა იქნება აუცილებელი (მნიშვნელოვანი) დემოკრატიული საზოგადოებისთვის.<sup>93</sup> ასეთი ჩარევით განსაზღვრული ქმედება დაცულ სიკეთეს უნდა აღემატებოდეს. კერძოდ, სასამართლომ უნდა შეათვასოს გამოხატვის შინაარსისა და ფორმის ღირებულება, მისი საზოგადოებრივი მნიშვნელობა და ასევე, უფლების რეალიზაციის შედეგად მიყენებული ზიანი. აღნიშნული კი, თავის მხრივ, ასახვას მე-18 მუხლში განწერილი არაქონებრივი უფლებების არსიდან გამომდინარე ჰპოვებს.<sup>94</sup> ამდენად, გამოხატვის თავისუფლების შეზღუდვა სახელმწიფოს მიერ შესაძლებელია სხვისი დამამცირებელი დამოკიდებულების შემთხვევაში განხორციელდეს. ასეთი დამოკიდებულება თავის მხრივ, შეიძლება იყოს ცილისწამება და სხვ.

განსხვავებით საკონსტიტუციოსამართლებრივი ურთიერთობებიდან, რომელშიც უფლების სუბიექტს ნებისმიერი ის პირი წარმოადგენს, რომელთა უფლებებსაც სახელმწიფო იცავს, სამოქალაქოსამართლებრივი ურთიერთობისას გამოხატვის თავისუფლების შეზღუდვა პირთა თანასწორობაზე დაფუძნებით გამომდინარეობს,

<sup>91</sup> ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მე-10 მუხლი.

<sup>92</sup> ჯორბენაძე, გამოხატვისა და ინტორმაციის თავისუფლება, როგორც დემოკრატიული სახელმწიფოს არსებობის წინაპირობა, ზურაბ ახვლედიანი 80, გვ. 174

<sup>93</sup> თბილისის სააპელაციო სასამართლოს განჩინება, 25 ივნისი 2013, N2ბ/696-13

<sup>94</sup> საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2004 წლის 11 მარტის N2/1/241 გადაწყვეტილება საქმეზე მოქალაქე აკაკი გოგიჩაიშვილი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ

სასამართლოს პრეროგატივაა და სწორედ სუბიექტური თუ ობიექტური შეხედულებანი თამაშობს გადამწყვეტ როლს. ასე მაგალითად, ჟურნალისტის საქმიანობა, როდესაც მას რესპოდენტის მიერ გამოთქმული მოსაზრებისგან გამიჯვნა ევალება, რათა არ გაავრცელოს სიძულვილისა თუ ძალადობის განცხადება;<sup>95</sup> ან მოახდინოს ინფორმაციის გადამონშება და მისი სისწორის დადგენა.<sup>96</sup> აღნიშნულის ამომავალი წერტილია ის, რომ ჟურნალისტი უნდა ავრცელებდეს ისეთი სახის ინფორმაციას, რომელიც უნდა იყოს სანდო/გადამონშებადი და სინამდვილესთან შესაბამისი. რესპოდენტის მიერ გამოთქმული მოსაზრების დადასტურება მხოლოდ აღნიშნულ წყაროზე დაყრდნობის შემთხვევაშია დასაშვები, თუნდაც ეს უკანასკნელი სიმართლესთან შეუსაბამო ინფორმაციას ავრცელებდეს. ასეთის არსებობისას, მოთხოვნის უფლება პირს უშუალოდ რესპოდენტთან წარმოეშობა და სახელმწიფოს როლი სასამართლოს გზით დარღვეული უფლების შედეგად მართლმსაჯულების განხორციელებაში ვლინდება. ამასთან, ჟურნალისტს აკისრია ე.წ. „მოკვლევის ვალდებულება“. აღნიშნულის ფარგლებში, იგი არაა 100%-ით ობიექტური ინფორმაციის გავრცელების კუთხით იქნება ვალდებული, არამედ სიმართლესთან ყველაზე შესაბამისი ინფორმაციის.<sup>97</sup> მასობრივი ინფორმაციის საშუალებაში გაშუქებული სტატიისა ან ინტერვიუს გადაცემის შემთხვევაში იგი ავტომატურად იძენს საჯარო ხასიათს. სიტყვისა და გამოხატვის თავისუფლების ფარგლებიდან გამომდინარე, პირს, რომლის მიმართაც გაჟღერებულია გარკვეული განცხადება/ინფორმაცია (სიმართლესთან შეუსაბამო და სხვ.), უფლება აქვს, საპასუხო სახის განცხადება/ინფორმაცია გაავრცელოს სასამართლოში სარჩელის შეტანამდე. ასეთის არსებობის შემთხვევაში, თუნდაც განცხადება/ინფორმაცია ინფორმაციის პირველადი გამავრცელებლისადმი უსიამოვნო ტექსტს შეიცავდეს, ეს უკანასკნელი ვალდებულია, ითმინოს ადრესატის ქმედება. თმენის სამართლებრივი ფარგლები სრულდება მაშინ, როდესაც ამ განცხადებით/ინფორმაციით შეილახება (მოხდება უხეში ხელყოფა) არაქონებრივი უფლებები.

<sup>95</sup> საქართველოს უზენაესი სასამართლოს განჩინება 1278-1298-2011 წ

<sup>96</sup> ალფაიძე ჟურნალისტის სამართლებრივი სტატუსი ადამიანი და კონსტიტუცია 4/2004 გვ82

<sup>97</sup> ალფაიძე მედია სამართალი გვ 222 2014წ

როგორც დასაწყისში აღნიშნეთ შესაძლებელია პიროვნებას რაიმე მდგომარეობიდან გამომდინარე დაეკისროს აღნიშნულ უფლებებზე თემის ვალდებულებაც გათვალისწინებულია სიტყვისა და გამოხატვის შესახებ საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად ანუ თუ არსებობს საზოგადოების დიდი ინტერესი რაიმე საკითხთან დაკავშირებით ამ შემთხვევაში შესაძლებელია რაიმე სახის უფლების შელახვა ჩაიტვალოს სასამართლოს მხრიდან საზოგადოების ინტერესის სფეროდ და არ მოხვდეს მისი ფულადი სახით ანაზღაურება. აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით უზენაესმა სასამართლომ განმარტა რომ, შესაძლოა გარკვეულ შემთხვევებში სრულად არ ჩაითვალოს უფლების შელახვად. აღნიშნულ სარჩელთან დაკავშირებით, ა. ფ-ის სარჩელის მიართ რომელიც შპს გაზეთ ასავალ-დასავალის მიმართ და მოითხოვა მორალური ზიანის ანაზღაურება იმ საფუძვლით, რომ მოპასუხე გაზეთში მის შესახებ გამოქვეყნდა ცილისმწამებლური წერილი, რამაც შელახა მისი პატივი, ღირსება და საქმიანი რეპუტაცია.

უზენაესმა სასამართლომ კი შემდეგი მნიშვნელოვანი განმარტება გააკეთა, საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატამ მნიშვნელოვანი განმარტება გააკეთა დემოკრატიულ საზოგადოებაში სიტყვისა და გამოხატვის, აგრეთვე პრესის თავისუფლებასთან დაკავშირებით. განხილული სამოქალაქო საქმე ეხება ა. ფ-ის სარჩელს, რომლითაც მან მიმართა თბილისის საქალაქო სასამართლოს მოპასუხე შპს გაზეთ „ასავალ-დასავალის“ მიმართ და მოითხოვა მორალური ზიანის ანაზღაურება იმ საფუძვლით, რომ მოპასუხე გაზეთში მის შესახებ გამოქვეყნდა ცილისმწამებლური წერილი, რამაც შელახა მისი პატივი, ღირსება და საქმიანი რეპუტაცია. თბილისის საქალაქო სასამართლოს და შემდეგ თბილისის სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილებით ა. ფ-ის სარჩელი ნაწილობრივ დაკმაყოფილდა და მოპასუხეს მის სასარგებლოდ დაეკისრა მორალური ზიანის ანაზღაურება 3000 ლარის ოდენობით. უზენაესმა სასამართლომ, იხელმძღვანელა რა საქართველოს კონსტიტუციისა და „სიტყვისა და გამოხატვის თავისუფლების შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისი მუხლებით, აგრეთვე ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა დაცვის ევროპული სასამართლოს პრაქტიკით, მიიღო ახალი გადაწყვეტილება, რომლითაც გააუქმა სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილება და დააკმაყოფილა, შპს გაზეთ „ასავალ-

დასავალის“ სარჩელი. უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილების თანახმად, გამოხატვის თავისუფლება წარმოადგენს დემოკრატიული საზოგადოების ერთ-ერთ ფუნდამენტურ საფუძველს, მისი განვითარებისა და პიროვნების თვითრეალიზების მთავარ პირობას, ამიტომ დემოკრატიულ საზოგადოებაში გამოხატვის თავისუფლების შეზღუდვა მხოლოდ იშვიათად შეიძლება აღმოჩნდეს აუცილებელი. ასეთი აუცილებლობის ფარგლები კიდევ უფრო მცირდება, როცა საქმე პრესის თავისუფლებას ეხება, ვინაიდან პრესის თავისუფლებას ძალიან მაღალი ღირებულება გააჩნია დემოკრატიულ საზოგადოებაში და მისი შეზღუდვაც განსაკუთრებულ გამართლებას მოითხოვს. ასეთია ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა დაცვის ევროპული სასამართლოს პრაქტიკა. ამ პრაქტიკით დადგენილ სტანდარტებს შეესაბამება ასევე საქართველოს კანონი „სიტყვისა და გამოხატვის თავისუფლების შესახებ“. უზენაესმა სასამართლომ განმარტა, რომ ცილისწამების განსაზღვრისათვის აუცილებელი პირობაა ფაქტისა და მოსაზრების (აზრის) გამიჯვნა, ვინაიდან „სიტყვისა და გამოხატვის თავისუფლების შესახებ“ კანონის მიხედვით, აზრი დაცულია აბსოლუტური პრივილეგიით და, შესაბამისად, შეფასებითი მსჯელობა არ შეიძლება მიჩნეულ იქნეს ცილისწამებად. განსახილველ საქმეში უზენაესმა სასამართლომ მიიჩნია, რომ სადავო წერილში მითითებული გამონათქვამები მხოლოდ მისი ავტორის მოსაზრებების გავრცელებას ემსახურებოდა, რომელიც ასახავდა ამ უკანასკნელის სუბიექტურ დამოკიდებულებას მოსარჩელის პიროვნების მიმართ და არ შეიცავდა კონკრეტული ფაქტების მტკიცების პრეტენზიას. ანუ ეს იყო მხოლოდ მოპასუხის სუბიექტური აზრი (მსჯელობა, თვალსაზრისი) და არა ობიექტური გარემოებებიდან გამომდინარე ფაქტების დამტკიცების მცდელობა, ამიტომ იგი არ შეიძლებოდა მიჩნეულიყო ცილისწამებად. უზენაესმა სასამართლომ ასევე განმარტა რომ, როდესაც კერძო პირები მოღვაწეობენ საზოგადოებრივი მნიშვნელობის საკითხების სფეროში და მონაწილეობას იღებენ ამ საკითხების საჯარო განხილვაში პრესისა თუ მასმედიის სხვა საშუალებებით, კრიტიკისადმი მათ მეტი მოთმინება მოეთხოვებათ. ამიტომ, საზოგადოებრივი ინტერესის საკითხებზე დებატებში მონაწილეობის დროს კერძო პირის მიმართ შეურაცხმყოფელი ტერმინების გამოყენება შესაძლებელია არ იქნეს მიჩნეული ცილისწამებად. განსახილველ საქმეში უზენაესმა სასამართლომ მიიჩნია, რომ, ვინაიდან

მოსარჩელე მოღვაწეობდა საზოგადოებრივი მნიშვნელობის საკითხების სფეროში და მონაწილეობას იღებდა ამ საკითხებზე გამართულ საჯარო დისკუსიებში, ამიტომ მას კრიტიკისადმი მეტი მოთმინება მოეთხოვებოდა. აქედან გამომდინარე, უზენაესმა სასამართლომ ჩათვალა, რომ, მოცემულ შემთხვევაში, ცალკე აღებული სადავო გამონათქვამები, შესაძლოა შეურაცხმყოფელიც ყოფილიყო, მაგრამ საგაზეთო სტატიის მთელი კონტექსტის გათვალისწინებით, ეს გამონათქვამები უნდა შეფასებულიყო როგორც საზოგადოებრივი ინტერესის მქონე თემატიკაზე საჯარო დისკუსიის დროს მოპასუხის მიერ საკუთარი შეხედულების მკვეთრი (უხეში) ფორმით გამოხატვა. ასეთი გამოხატვის მიმართ კი მოსარჩელეს თმენის მეტი ვალდებულება გააჩნდა, ამიტომ ეს გამოხატვა ექცეოდა ძირითადი უფლებით დაცულ სფეროში და გამორიცხავდა გაზეთის პასუხისმგებლობას.<sup>98</sup>

#### **4.4 ზიანის მოთხოვნის სუბიექტები და მისი ანაზღაურების საკითხი**

არაქონებრივი ზიანის ანაზღაურების შესახებ ზოგადი ნორმა მეცნიერული დისკუსიის შედეგად მოთავსდა დელიქტური ვალდებულებების თავში . აქვე განისაზღვრა არამატერიალური ზიანის ანაზღაურების ძირითადი პრინციპები; არაქონებრივი ზიანის ანაზღაურდება ყველა შემთხვევაში, თუ ზიანი გამონვეულია მართლსაწინააღმდეგო და ბრალეული მოქმედებით; იგი უნდა ანაზღაურდეს ფულადი ფორმით სასამართლოს მიერ დადგენილი ოდენობით; მორალური ზიანი ანაზღაურდება ქონებრივი ზიანისაგან დამოუკიდებლად. იგი ანაზღაურდება მიუხედავად იმისა, არამატერიალურ ზიანთან ერთად დადგა თუ არა ქონებრივი ზიანი და ეს უკანასკნელი ანაზღაურდება თუ არა.<sup>99</sup>

მორალური ზიანი არის არამართლზომიერი მოქმედებით გამონვეული ფიზიკურ ზნეობრივი ხელყოფა. არამატერიალური ზიანი არ მოიცავს ქონებრივ ელემენტს და არის წმინდა ფიზიკური ან ფსიქიკური ტანჯვა, თუმცა მორალური ზიანი შეიძლება იყოს

<sup>98</sup> საქართველოს უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილება #1278-1298 -2011 წ

<sup>99</sup> რ. შენგელაია, დელიქტური ვალდებულებები სამოქალაქო სამართალში გვ 183 2014წ

არამხოლოდ არაქონებრივი, არამედ ქონებრივი სიკეთის ხელყოფის შედეგის<sup>100</sup>. ამდენად, მორალური ზიანი არის ფიზიკური ან ზნეობრივი ხასიათის ტანჯვა, რომელიც შეიძლება გამოვლინდეს როგორც დამოუკიდებლად, ისე ერთობლივად და მოჰყვეს უარყოფითი ფსიქიკური რეაქცია<sup>101</sup>

მორალური ზიანის ანაზღაურების მიღების უფლების მქონე პირთა განმსაზღვრელ კრიტერიუმს წარმოადგენს პიროვნებისათვის „ფიზიკური ან ზნეობრივი“ ტანჯვის მიყენება. მორალური ზიანის ანაზღაურება შესაძლებელია მოითხოვოს მხოლოდ იმ პირმა ვინც უშუალოდ განიცადა ზიანი.

საქართველოს სამოქალაქო კოდექსის მე-18 მუხლი ეხება მორალური ზიანის კომპენსაციის საკითხს. მითითებულ მუხლში მოცემული „პირის“ ცნება თავისთავად არ განსაზღვრავს, საუბარი ფიზიკურ პირს შეეხება, თუ იურიდიულს. იურიდიულ პირს, რეალურად არსებულ სოციალურ წარმონაქმნს, სამართალი პირად ყოფნის სტატუსს ანიჭებს, სწორედ ეს გარემოება აძლევს საფუძველს კანონის ადრესატს იგულისხმოს „პირის“ ცნებაში ორივე მათგანი. იურიდიული პირის მიერ მორალური ზიანის ანაზღაურების მოთხოვნის სპეციფიკის გათვალისწინებით.

საქართველოს კონსტიტუციის 45-ე მუხლი ძირითადი უფლებების თაობაზე აკეთებს დათქმას, რომლის მიხედვითაც, კონსტიტუციით მონესრიგებული ძირითადი უფლებანი, თავისი შინაარსის გათვალისწინებით, იურიდიულ პირებზეც ვრცელდება. აქედან გამომდინარე, შესაძლებელია აღვნიშნოთ, რომ იურიდიული პირი, გარკვეული სპეციფიკის გათვალისწინებით ისევე გამოდის სამართლებრივ ურთიერთობაში, როგორც ფიზიკური პირი და მასზე ანალოგიური დაცვის საშუალება ვრცელდება.<sup>102</sup> თუმცა უნდა აღინიშნოს, რომ იურიდიული პირების მონაწილეობა სამოქალაქო-სამართლებრივ ურთიერთობებში სპეციფიურია, გამომდინარე იქიდან, რომ მასზე ვერ გავრცელდება ისეთი ძირითადი უფლებები, რომლებიც თვისებრივად მხოლოდ ადამიანს უკავშირდება.

<sup>100</sup> მიხეილ ბიჭია პირადი ცხოვრების დაცვა სამოქალაქო სამართლის მიხედვით თბილისი 2012 წ გვ.212

<sup>101</sup> შ ჩიკვაშვილი პასუხისმგებლობა მორალური ზიანისათვის , გვ 26-27 1998წ

<sup>102</sup> ბურდული.ი საქართველოს კონსტიტუციის კომენტარი თავი მეორე 2011 წელი გვ78

იურიდიული პირის არაქონებრივი უფლებების არსი უწინარესად საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 27-ე მუხლის მე-5 პუნქტიდან გამომდინარეობს, რომლის საფუძველზეც, ასეთ უფლებას საქმიანი რეპუტაცია წარმოადგენს.<sup>103</sup> იურიდიულ პირებთან მიმართებით, მორალური ზიანის ანაზღაურების საკითხი მეტად სპეციფიურია, ვინაიდან იგი ვერ განიცდის გიზიკურ (ფსიქიკურ) ტანჯვას და შესაბამისად ვერ მიიღებს უარყოფით ემოციებსა და განცდებს. იურიდიული პირის არაქონებრივი უფლებების არსი უწინარესად საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 27-ე

მუხლის მე-5 პუნქტიდან გამომდინარეობს, რომლის საფუძველზეც, ასეთ უფლებას საქმიანი რეპუტაცია წარმოადგენს.<sup>104</sup> იურიდიულ პირს არ გააჩნია მე-18 მუხლით დაცული ისეთი სიკეთე, როგორც არის პირადი ხელშეუხებლობა, პირადი ცხოვრების საიდუმლოება, პატივი და ღირსება. შესაბამისად აღნიშნული საფუძვლებით იურიდიულ პირს მორალური ზიანის ანაზღაურების მოთხოვნის უფლება არ გააჩნია. „ფიზიკური და ზნეობრივი ტანჯვა“ სათანადოდ ვერ წარმოაჩენს ზიანის არსს იურიდიული პირის მიმართ, რადგან ასეთი ტანჯვა დამხასიათებელია მხოლოდ ფიზიკური პირისათვის, თუმცა მორალური ზიანის ანაზღაურების უფლება იურიდიულ პირსაც აქვს, როდესაც მისი საქმიანი რეპუტაციაა ხელყოფილი.<sup>105</sup>

სამოქალაქო კოდექსის მე-18 მუხლი მიურიდიულ პირს ანიჭებს შესაძლებლობას მოითხოვოს მორალური ზიანის ანაზღაურება მხოლოდ საქმიანი რეპუტაციის შელახვისას, ანუ მაშინ, როდესაც შეილახება მისი კომერციული სიკეთე, თუ პრესტიჟი, რომლებიც მოქმედებენ უარყოფითად კომპანიის ორგანიზაციის მომავალი მოგების მიღების შესაძლებლობაზე. იურიდიული პირის არაქონებრივი უფლების შელახვის შემთხვევაში, სახეზე უნდა იყოს საქმიანი რეპუტაციის შელახვის იმგვარი ფაქტი, რომ ეს უკანასკნელი ვეღარ ახორციელებდეს მის საქმიანობას.<sup>106</sup> ეს ის შემთხვევაა, როდესაც არაქონებრივი ინტერესის შელახვამ შესაძლებელია სერიოზული ქონებრივი

<sup>103</sup> გოცირიძე, საქართველოს კონსტიტუციის კომენტარი, თავი მეორე, საქართველოს მოქალაქეობა. ადამიანის ძირითადი უფლებანი და თავისუფლებანი, 2013, მუხ. 17, 109.

<sup>104</sup> გოცირიძე, საქართველოს კონსტიტუციის კომენტარი, თავი მეორე, საქართველოს მოქალაქეობა. ადამიანის ძირითადი უფლებანი და თავისუფლებანი, 2013, მუხ. 17, 109

<sup>105</sup> შ. ჩიკვაშვილი პასუხისმგებლობა მორალური ზიანისათვის 2003 წ გვ გვ 123

<sup>106</sup> თბილისის სააპელაციო სასამართლოს განჩინება 25 ივნისი 2013 წ# 2/696,13



დანაკლისი გამოიწვიოს. დასაწყისში აღინიშნა, რომ სამოქალაქო კოდექსი „პირის“ ცნებით გვაძლევს მინიშნებას მორალური ზიანის ანაზღაურების მოთხოვნის უფლების მქონე სუბიექტებზე, თუმცა რეალურად ასეთი ფორმულირება ამცირებს იურიდიული პირის შესაძლებლობა დაიცვას პირადი არაქონებრივი უფლებები, რადგან ვერ მოიცავს იურიდიული პირისათვის მორალური ზიანის მიყენების ყველა პოტენციურ შემთხვევას. შეუძლებელია იურიდიული პირის მიერ მორალური ზიანის ანაზღაურების მოთხოვნა, მაგალითად, როდესაც სახეზე არ არის საქმიანი რეპუტაციის შელაცვის ფაქტი, მაგრამ იურიდიული პირის არაქონებრივ სიკეთეთა დარღვევა სახეზეა:

სახელშეკრულებო ვალდებულებათა დარღვევა, კომერციული საიდუმლოს გამჟღავნება, იურიდიული პირისთვის კუთვნილი სასაქონლო ნიშნით უკანონო სარგებლობა და სხვ. სამწუხაროა, რომ აღნისნული მორალური ზიანის მიმყენებელი ქმედებები სამართლებრივი რეგულირების სფეროს ფარგლებს გარეთ არის დარჩენილი. აქედან გამომდინარე ნათლად ჩანს რომ მორალური ზიანის ანაზღაურების სუბიექტებდ გვევლინება ფიზიკური პირები რადგან მორალური ზიანის არსებობისას სახეზე უნდა გვექონდეს ძლიერი ფსიქოლოგიური ტანჯვა რომელსაც იურიდიული პირი ვერ განიცდის.

ხოლო რაც შეეხება ანაზღაურების საკითხს აღნიშნული საკითხი სასამართლოს შეფასების საკითხია და მის ოდენობას და არსებობას სასამართლო აფასებს.

საქართველოს უზენაესმა სასამართლომ ანაზღაურებასთან დაკავშირებით შემდეგი გადაწყვეტილება მიიღო.

საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ ჯანმრთელობის დაზიანებით გამოწვეული მორალური ზიანის ანაზღაურება სამართლიანი და გონივრული ოდენობით უნდა განისაზღვროს. შეუძლებელია თითოეული ადამიანის ჯანმრთელობის ან სიცოცხლის ფასის განსაზღვრა, ამდენად, მორალური ზიანის ანაზღაურების მიზანი, გარკვეულწილად, განცდილი ტკივილისა და დისკომფორტის შემსუბუქებაა. კომპენსაციის ოდენობას განსაზღვრავს სასამართლო დაზარალებულის მიერ განცდილი სულიერი, ფიზიკური ტანჯვისა და ზიანის მიმყენებლის ბრალის გათვალისწინებით, თუ ზიანის ანაზღაურების მოცემული სახე ბრალეულ უნდა შეაფასოს მოქმედებაზე

დამოკიდებული. სასამართლომ თუ რაოდენ დიდი ფიზიკური ან სულიერი ტანჯვა მიაყენა რაიმე ქმედებამ დაზარალებულს.<sup>107</sup>

აქედან გამომდინარე, მორალური ზიანის ანაზღაურების საკითხი მთლიანად არის სასამართლოს გონივრული განსჯისათვის მინდობილი და ეს არც უნდა იყოს გასარკვევრი, რადგან მორალური ზიანი თავისი ბუნებით არის ისეთი სახის ზიანი, რომელსაც ბევრი სხვადასხვა ფორმით შეიძლება შევხვდეთ. სწორედ აქედან გამომდინარე, კანონმდებელმა 413-ე მუხლში არსებული ჩანაწერით, რომლის მიხედვითაც მორალური ზიანი უნდა ანაზღაურდეს „გონივრული და სამართლიანი ანაზღაურების სახით“, მიანდო სასამართლოს ისეთი საკითხები განსაზღვრად, როგორცაა მორალური ზიანის ცნება და მორალური ზიანის ოდენობის განსაზღვრა. სასამართლომ ყველა კონკრეტული შემთხვევის მიმართ უნდა მიიღოს ინდივიდუალური გადაწყვეტილება, ფაქტების შეჯერების და ობიექტური თუ სუბიექტური გარემოებების შეპირისპირების გზით.

## **თავი 5-ე მორალური ზიანის ოდენობის განსაზღვრა ცალკეული სახის სამართალდარღვევისათვის.**

### **5.1 სიცოცხლისა და ჯანმრთელობის დარღვევა;**

---

<sup>107</sup> საქართველოს უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილება # ას 95 90 2013გ

მორალური ზიანის ანაზღაურების ცალკე სახეს გამოყოფს 413 II მუხლი, რომლის არსებობისთვისაც, სახეზე უნდა იყოს სხეულის დაზიანების ან ჯანმრთელობისთვის ვნების მიყენების ფაქტი. კანონი იცავს სამოქალაქო ურთიერთობის მონაწილეს არამატერიალურ ფასეულობათა ხელყოფისგან. თითოეულ შემთხვევაში, კომპენსაციის ოდენობა განისაზღვრება მორალური ტკივილის სიმძიმეზე, პირის ასაკზე, სულიერ განცდასა და ქონებრივ მდგომარეობაზე დაფუძნებით. იმის გათვალისწინებით, რომ ჯანმრთელობის ფულადი კომპენსაციის სახით შეფასება შეუძლებელია,<sup>108</sup> სასამართლო ყურადღებას ამახვილებს სხეულის დაზიანების სიმძიმის ხარისხს, ჯანმრთელობის მოშლის პერიოდს, შრომისუნარიანობის დაკარგვის ხარისხზე, ზიანის მიმყენებლის ქონებრივ,<sup>109</sup> ასევე ოჯახურ მდგომარეობაზე და სხვ. მიყენებულმა ფიზიკურმა ზიანმა შესაძლებელია იმოქმედოს ადამიანის ფსიქიკურ ჯანმრთელობაზე, რაც მართალია, არამატერიალიზებულ ზიანს წარმოადგენს და მაგრამ მისი მტკიცება შესაძლებელია ექსპერტიზის დასკვნას ეფუძნებოდეს. თუმცა, ასეთის არარსებობის შემთხვევაში, მხოლოდ ფიზიკური ზიანის მიყენება არ არის საკმარისი არაქონებრივი ზიანის დასადგენად<sup>110</sup> მართალია, არაქონებრივი უფლებების შელახვის ფაქტებისთვის კანონი მტკიცებულების არაქონებრივი ზიანის ანაზღაურების მოთხოვნასთან ერთად მატერიალური ზიანის დამადასტურებელი დოკუმენტიც უნდა წარმოადგინოს. ასე მაგალითად, არაქონებრივი ზიანის ანაზღაურებად დასტურების სავალდებულობას არ ითვალისწინებს თუმცა, მხარემ რეზა შეიძლება დაკავშირებული იყოს ჯანმრთელობის ისეთ საკითხთან დაკავშირებით, როგორიცაა: სისხლის გადასხმა, როგორც უხარისხო პროდუქტით მიყენებული ზიანი. საკითხის მართებულად გადანყვეტისთვის გასათვალისწინებელია დამზიანებლის ბრალეულობისა და მართლწინააღმდეგობის საკითხი. <sup>111</sup> იმ შემთხვევაში, თუ ჯანმრთელობისთვის ზიანის მიყენება პაციენტის ქმედებიდან გამომდინარეობს (არ მიაწოდა ინფორმაცია ექიმს და სხვ.), ექიმის

<sup>108</sup> საქართველოს უზენაესი სასამართლოს გადანყვეტილება 8 აპრილი 2008 წ # ბ-1972- 936

<sup>109</sup> კვანტალიანი პაციენტის უფლებები და ჯანმრთელობის დაცვის პერსონალის სამოქალაქო სამართლებრივი პასუხისმგებლობის საკითხები გვ 159-160 2014 წ

<sup>110</sup> იქვე

<sup>111</sup> ჩიკვაშვილი პასუხისმგებლობა მორალური ზიანისათვის გვ 127

ბრალეულობა სახეზე არ იქნება.<sup>112</sup> პრაქტიკაში არსებული მაგალითებიდან გამომდინარე, პაციენტის მიერ მოთხოვნილი ზიანის ოდენობა უფრო მეტია, ვიდრე უმეტეს შემთხვევაში სასამართლოს მიერ დაკისრებული კომპენსაციის ოდენობა რაც სწორედ გონივრული და სამართლიანი განსჯის შედეგს წარმოადგენს. პაციენტი ამგვარ საკითხს სუბიექტურად ეკიდება, ხოლო სასამართლოს მიერ საკითხის გადაჭრა ობიექტური გარემოებებიდან გამომდინარე წარმოებს,<sup>113</sup> ვინაიდან მიყენებული ზიანი უნდა იყოს სამართლებრივად მნიშვნელოვანი და ანგარიშგასაწევი, როდესაც განსაზღვრის კრიტერიუმად დაზიანების სიმძიმე უნდა იქნეს მიჩნეული. ექიმის ბრალეულობით პაციენტის გარდაცვალებისას არაქონებრივი ზიანის ანაზღაურების მოთხოვნის უფლება აქვს გარდაცვლილის ოჯახის წევრს (ახლობელს) მისი ფსიქიკური და ზნეობრივი ტანჯვიდან (ტანჯვის ხარისხიდან) გამომდინარე.<sup>114</sup> „პაციენტის უფლებების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-10 მუხლი არაქონებრივი ზიანის ანაზღაურების საკითხს განსაზღვრავს, რომელშიც ჩამოყალიბებულია ის კრიტერიუმები, რასაც შეიძლება მოსარჩელე დაეფუძნოს. ასეთი შეიძლება იყოს არასასურველი ჩასახვა ან ბავშვის დაბადება<sup>115</sup>, სამედიცინო დანესებულების გაუმართავი ფუნქციონირება (მათ შორის, სანიტარული ნორმების დაუცველობა) და სხვ.

ადამიანის ჯანმრთელობა ეს არის სრული ფიზიკური და ფსიქოლოგიური კეთილდღეობის მდგომარეობა, რის დაზიანებამაც შესაბამისად, უნდა გამოიწვიოს ადამიანის სრული კეთილდღეობის დაკარგვა. ჯანმრთელობაზე უფლებას აქვს აბსოლიტური ხასიათი და მას შეესაბამება ამ უფლების დამრღვევ პირთა თავშეკავების მოვალეობა.<sup>116</sup>

ჯანმრთელობისათვის მძიმე ზიანის მიყენებამ, რომელიც განხორციელებულია დაზარალებულის მიმართ განსაკუთრებული სისასტიკით, წამებით ან შეურაცყოფით, არსებითად უნდა იმოქმედოს მორალური ზიანის კომპენსაციის ოდენობაზე. სამოქალაქო კოდექსის 413-ე მუხლით განსაზღვრულია, რომ ჯანმრთელობისათვის ვნების

<sup>112</sup> საქართველოს უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილება 27 ივნისი 2011 წ 3 ას- 260-244-2011

<sup>113</sup> სუს განჩინება 21 ივნისი 2012 წ # 394-373-2012

<sup>114</sup> ჩიკვაშვილი, პასუხისმგებლობა მორალური ზიანისთვის, გვ. 131 1998წ

<sup>115</sup> საქართველოს სამოქალაქო კოდექსის კომენტარისერგი ჯორბენაძე მუხლი 18 პირადი არაქონებრივი უფლებები. 2015 წ გვ 34

<sup>116</sup> შ. ჩიკვაშვილი მორალური ზიანი სამოქალაქო სამართალში თბილისი 1998წ. გვ 114

მიყენებისას, მხოლოდ დაზარალებულს შეუძლია მოითხოვოს ანაზღაურება არაქონებრივი ზიანისათვის.<sup>117</sup> მორალური ზიანის კომპენსაციის ოდენობის განსაზღვრისათვის მნიშვნელოვანია დაზარალებულის კონკრეტული პირის ზიანის განსაზღვრა და მისი შეფასება რადგან ზუსტად იყოს მორალური ზიანი შეფასებული. ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის კონვენციის მე-2-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად

ყოველი ადამიანის სიცოცხლის უფლება კანონით არის დაცული. არავის სიცოცხლე არ შეიძლება განზრახ იყოს ხელყოფილი. სიცოცხლის ხელყოფა დასაშვებია მხოლოდ სასამართლოს მიერ გამოტანილი სასიკვდილო განაჩენის აღსრულების შედეგად, ისეთი დანაშაულის ჩადენისათვის, რომლისთვისაც კანონი ითვალისწინებს ამ სასჯელს.<sup>118</sup>

ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ მნიშვნელოვანი განმარტება გააკეთა და დააკმაყოფილა სარჩელი მაისურაძე საქართველოს წინააღმდეგ სადაც მხარე ჩიოდა სიცოცხლის უფლების დარღვევასთან დაკავშირებით სასამართლომ მიიღო წარმოებაში აღნიშნული საქმე და მასში გამოკვეთა კონვენციის მუხლების დარღვევა და საქართველოს დააკისრა ფულადი კომპენსაციის გადახდის ვალდებულება. კერძოდ სასამართლომ გამოკვეთა კონვენციის მე-2 და მე-13 -ე მუხლების დარღვევა რაც ადამიანის სიცოცხლის უფლების დარღვევაში გამოიხატა.

აღნიშნულით დაზარალებულის დედას მიადგა მორალური ზიანი და აღნიშნული ზიანის სანაცვლოდ ფულადი კომპენსაციის გადახდა დაავალდებულა საქართველოს ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ.<sup>119</sup>

სიცოცხლისა და ჯანმრთელობის უფლების დარღვევასთან დაკავშირებით საქართველოს უზენაესმა სასამართლომაც მიიღო მნიშვნელოვანი გადაწყვეტილება შემდეგ საქმეზე;

---

<sup>117</sup> შ. ჩიკვაშვილი მორალური ზიანი სამოქალაქო სამართალში თბილისი 1998წ.გვ117

<sup>118</sup> ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა კონვენცია მუხლი მეორე.

<sup>119</sup> ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს 2018 წლის 20 დეკემბრის გადაწყვეტილება.

გ.ა-ძე (შემდეგში: მოსარჩელე, შემსრულებელი, დაზარალებული, პირველი აპელანტი ან კასატორი) შპს „პ.ბ-ის“ (შემდეგში: დამკვეთი, პირველი მოპასუხე ან მეორე აპელანტი) დაკვეთით ასრულებდა სამუშაოებს სამშენებლო მოედანზე, რისთვისაც ყოველთვიურად იღებდა ხელფასს - უზენაესმა სასამართლომ გაითვალისწინა შემდეგი გარემოებები და დაადგინა

სსსკ-ის 404-ე მუხლის პირველი ნაწილით, საკასაციო სასამართლო გადაწყვეტილებას ამონმებს საკასაციო საჩივრის ფარგლებში, ამავე კოდექსის 407-ე მუხლის პირველი ნაწილით, საკასაციო სასამართლო იმსჯელებს მხარის მხოლოდ იმ ახსნა-განმარტებაზე, რომელიც ასახულია სასამართლო გადაწყვეტილებებში და სხდომის ოქმებში. გარდა ამისა, შეიძლება მხედველობაში იქნეს მიღებული ამ კოდექსის 396-ე მუხლის პირველი ნაწილის „ვ“ ქვეპუნქტში მითითებული ფაქტები; ამავე მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, სააპელაციო სასამართლოს მიერ დამტკიცებულად ცნობილი ფაქტობრივი გარემოებები სავალდებულოა საკასაციო სასამართლოსათვის, თუ წამოყენებული არ არის დასაშვები და დასაბუთებული პრეტენზია (შედავება). საკასაციო სასამართლოს შეფასებით, მოსარჩელეს ნაწილობრივ დასაბუთებული შედავება აქვს წარმოდგენილი.

დაზარალებული მის მიერ წარმოდგენილი საკასაციო საჩივრით ოთხ ძირითად მოთხოვნას აყენებს, ის სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილების იმ ნაწილის გაუქმებას ითხოვს, რომლითაც დამკვეთი და კონტრაქტორი პასუხისმგებელ პირთა სიიდან ამოირიცხნენ და მათ არც ყოველთვიური სარჩოს და არც მორალური ზიანის ანაზღაურება დაეკისრათ, ამასთან, კასატორი სს „ს.ბ-ისგან“ აღებული კრედიტისა და მისი მეუღლის მიერ აღებული სესხის ხუთივე მოპასუხისათვის სოლიდარულად დაკისრებას ითხოვს.

საკასაციო სასამართლომ არაერთ საქმეში განმარტა: „სასამართლოს უპირველესი ამოცანაა, დაადგინოს, თუ რას ითხოვს მოსარჩელე მოპასუხისაგან და რის საფუძველზე, ანუ რომელ ფაქტობრივ გარემოებებზე ამყარებს თავის მოთხოვნას. სასამართლომ მხარის მიერ მითითებული მოთხოვნის ფარგლებში უნდა მოძებნოს ის სამართლებრივი ნორმა (ნორმები), რომელიც იმ შედეგს ითვალისწინებს, რისი მიღწევაც

მხარეს სურს. ამასთან, მოთხოვნის სამართლებრივ საფუძვლად განხილული ნორმა (ან ნორმები) შეიცავს იმ აღწერილობას (ფაქტობრივ შემადგენლობას), რომლის შემოწმებაც სასამართლოს პრეროგატივაა და რომელიც უნდა განხორციელდეს ლოგიკური მეთოდების გამოყენების გზით, ანუ სასამართლომ უნდა დაადგინოს, ნორმაში მოყვანილი აბსტრაქტული აღწერილობა რამდენად შეესაბამება კონკრეტულ ცხოვრებისეულ სიტუაციას და გამოიტანოს შესაბამისი დასკვნები. ის მხარე, რომელსაც აქვს მოთხოვნა მეორე მხარისადმი, სულ მცირე, უნდა უთითებდეს იმ ფაქტობრივ შემადგენლობაზე, რომელსაც სამართლის ნორმა გვთავაზობს. აქედან გამომდინარე, შეგვიძლია დავასკვნათ, რომ მოთხოვნის სამართლებრივი საფუძვლის რომელიმე ფაქტობრივი წინამძღვრის (სამართლებრივი წინაპირობის) არარსებობა გამორიცხავს მხარისათვის სასურველი სამართლებრივი შედეგის დადგომას“<sup>120</sup>

ამრიგად მორალური ზიანის ანაზღაურების მოცულობას განსაზღვრავს სასამართლო მოსარჩელის მოთხოვნის საფუძველზე, მოსარჩელე უფლებამოსილია მიუთითოს ფულადი თანხა, რომელსაც ის ითხოვს მიყენებული სულიერი თუ ფიზიკური ტკივილისათვის, მაგრამ ეს მოთხოვნა მოსარჩელეს მხოლოდ მოსაზრებაა და ანაზღაურების მოცულობის განსაზღვრა სასამართლოს შეხედულებით, მოპასუხის, ფინანსური მდგომარეობისა და სხვა გარემოებების გათვალისწინებით უნდა გადაწყდეს.

მორალური ზიანის უმთავრეს მიზანს არ შეადგენს ხელყოფილი უფლებების რესტიტუცია, რადგან მიყენებულ ზიანს ფულადი ექვივალენტი არ გააჩნია და შეუძლებელია მისი სრული კომპენსაცია. კომპენსაციის მიზანია მორალური ზიანით გამოწვეული ტკივილის შემსუბუქება.

კომპენსაცია მიმართულია უარყოფითი ემოციების გასაქარწყლებლად. ამდენად, სასამართლო ზიანის ოდენობის განსაზღვრისას, შეხედულებაში იღებს დაზიანების ხარისხს.<sup>121</sup>

მორალური ტანჯვის ხასიათი უნდა შეფასდეს ზიანის მიყენების ფაქტობრივი გარემოებების, ასევე დაზარალებულის ინდივიდუალური თავისებურებების

<sup>120</sup> საქართველოს უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილება # -973-1208-04 ას1529-1443-20126

<sup>121</sup> თბილისის სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილება 2017 წ #2ბ-7243

გათვალისწინებით აგრეთვე იმ სხვა გარემოებათა მხედველობაში მიღებით, რომლებიც ადასტურებს, თუ რა სიმძიმის ტანჯვა გადაიტანა დაზარალებულმა. კომპენსაციის მოცულობა კი უნდა განისაზღვროს ტრამვის, ჯანმრთელობის სხვა დაზიანების სიმძიმის ხარისხიდან და სხვა გარემოებებიდან გამომდინარე, რომლებიც დაზარალებულის მიერ გადატანილ მორალურ ტანჯვას ადასტურებენ. ანაზღაურების ოდენობა განისაზღვრება აგრეთვე ზიანის მიმყენებლის ქონებრივი მდგომარეობის ბრალის ხრისხისა და სხვა კონკრეტულ გარემოებათა გათვალისწინებით.<sup>122</sup>

## 5.2 პირადი საიდუმლოების უფლების დარღვევა

პირადი არაქონებრივი უფლებების დაცვის მიზნით შესაბამისი სასარჩელო მოთხოვნის დაყენების უფლებამოსილება გააჩნია პირს, რომლის შესახებაც გავრცელდა ინფორმაცია და არა იმ პირს, რომელმაც ივარაუდა, რომ ეს ცნობები მას შეეხებოდა და რომ ამ ცნობებში იგი იგულისხმებ.<sup>123</sup> არაქონებრივ უფლებათა დაცვის ფორმებია: არაქონებრივ უფლებათა აღიარება, ხელმყოფი მოქმედების შეწყვეტა ან მათზე უარის თქმა (უარყოფა) და ასევე არაქონებრივი ზიანის ანაზღაურება. თითოეულის სახეზე არსებობისთვის საჭიროა ჩამოთვლილთაგან ერთი ან რამდენიმე სიკეთე მაინც შეილახოს.<sup>124</sup>

პირადი არაქონებრივი უფლებების დიფერენცია პატივი პატივის ქვეშ იგულისხმება პიროვნების მორალური თუ სხვა თვისებების ობიექტური შეფასება საზოგადოების მიერ, რომელიც პიროვნების მიმართ საზოგადოების დამოკიდებულებას განსაზღვრავს და ინდივიდის სოციალურ დახასიათებას,<sup>125</sup> სოციალურ შეფასებას წარმოადგენს. კერძოდ, პატივის განმარტებაში უნდა მოვიაზროთ პირის სოციალური პრესტიჟი, პატივისცემა,

<sup>122</sup> თბილისის სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილება # 2ბ/ 5775-15 2016 წ

<sup>123</sup> საქართველოს უზენაესი სასამართლოს განჩინება, 1 დეკემბერი 2005, Nას-448-775-05

<sup>124</sup> სერგი ჯორბენაძე მუხლი 18 პირადი არაქონებრივი უფლებები.

<sup>125</sup> ბიჭია, პატივის სამოქალაქოსამართლებრივი ცნების მოცულობა (ქართულ-ევროპული მიდგომები), თანამედროვე სამართლის მიმოხილვა, N1(2), გვ. 14



რენომე, იმიჯი<sup>126</sup>, საზოგადოების მხრიდან მის მიერ შექმნილი გარკვეული ფასეულობის აღიარება და სხვ.

ღირსება თავად პიროვნების მიერ მორალური თუ სხვა თვისებების შეფასებას წარმოადგენს. ესაა პირის შეხედულება, თუ როგორ აღიქმება პიროვნება საზოგადოების თვალში<sup>127</sup> და ის, თუ როგორ შეაფასებს თავად პიროვნება საკუთარ საზოგადოებრივ მნიშვნელობას. ღირსების უფლება არ გამომდინარეობს იქიდან, დაათვათ თუ არა საზოგადოებამ პირი. იგი ადამიანის განუყოფელ არაქონებრივ უფლებას წარმოადგენს, რომელიც აბსოლუტური ხასიათისაა. ღირსება ზოგადი პიროვნული უფლების ცენტრალური სფეროა. იგი ადამიანს მაშინაც გააჩნია, თუ საზოგადოების მიერ ჯერ კიდევ არ არის დაფასებული და აღიარებული. <sup>128</sup> ღირსებას შესწევს უნარი, მოიცვას სხვა პიროვნული უფლებაც. ასე მაგალითად, ღირსების შელახვით შესაძლებელია პირს შეელახოს საქმიანი რეპუტაციაც და სასარჩელო მოთხოვნა სწორედ ამ ორი უფლების ერთდროულად დაცვის მიზნით დააყენოს. ამ მხრივ შესაძლებელია მოყვანილ იქნეს საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს მოსაზრება, რომლითაც მან მიიჩნია, რომ ღირსება ხელყოფა ფაქტიურად ყოველთვის სხვა უფლების დარღვევას უკავშირდება. <sup>129</sup> აღნიშნული მოსაზრება შესაძლებელია მსჯელობის საგნად იქცეს, თუმცა იმ ფაქტის აღნიშვნა, რომ ღირსების უფლება ასეთ ხარისხშია საკონსტიტუციო სასამართლოს მიერ აყვანილი, მის სამართლებრივ მნიშვნელობასა და სტატუსზე უთითებს, ვინაიდან სწორედ ამ გადანყვეტილებით მოხდა სამოქალაქოსამართლებრივ დონეზე ღირსების უფლების განმარტების გამიჯვნა კონსტიტუციურსამართლებრივი მონესრიგებისგან პიროვნების ხელშეუხებლობაში როგორც ფიზიკური, ისე ვერბალური ხელყოფისგან დაცვის სავალდებულობა იგულისხმება. მასში მოიაზრება თავისუფლება, როგორც უფლება, რომელიც პირს კონსტიტუციით აქვს მინიჭებული. მისი შეზღუდვა შესაძლებელია სწორედ

<sup>126</sup> სერგი ჯორბენაძე მუხლი 18 პირადი არაქონებრივი უფლებები.

<sup>127</sup> საქართველოს უზენაესი სასამართლოს განჩინება, 23 აპრილი 2014, Nას-1332-1258-2012.

<sup>128</sup> ბიჭია, ღირსების სამოქალაქოსამართლებრივი ცნების მოცულობა, სამართლის ჟურნალი, N2/2014, გვ.15

<sup>129</sup> საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2007 წლის 26 ოქტომბრის N2/2/389 გადანყვეტილება საქმეზე საქართველოს მოქალაქე მათაძე და სხვები საქართველოს პარლამენტისა და საქართველოს პრეზიდენტის წინააღმდეგ

არაქონებრივი უფლების შელახვის საფუძველი გახდეს.<sup>130</sup> პირადი ცხოვრების საიდუმლოება კერძო პირის პერსონალური მონაცემებია. მართალია, ინფორმაციის თავისუფლებისა და გამოხატვის თავისუფლების არსიდან გამომდინარე, საჯარო ინტერესის შემთხვევაში, მონაცემების გასაჯაროება დასაშვებია, თუმცა, პრაქტიკული თვალსაზრისით, კერძო პირის პირადი მონაცემები ამგვარ ფარგლებში არ ექცევა. აღნიშნული გამომდინარეობს იმ ფაქტიდან, რომ პირადი ცხოვრების საიდუმლოება ისეთი სახის ცხოვრებისეულ მომენტებს მოიცავს, რომელიც მართალია რეალურად მოხდა, მაგრამ ინდივიდს მისი გასაჯაროება არ სურდა.<sup>131</sup> პირად სფეროში ჩარევას უნდა გააჩნდეს მხოლოდ კანონით ზუსტად განსაზღვრული მიზანი. რამდენადაა ასეთი სახის მიზანი გამართლებული მაშინ, როდესაც ფარული ჩანაწერი სასამართლოს მიერ მტკიცებულებად შეიძლება იქნეს მიღებული, ცალკე განხილვის თემაა, თუმცა საქართველოს საერთო სასამართლოებში არსებობს ამგვარი ჩანაწერის მტკიცებულებად მიღების პრაქტიკა, რაზე დაყრდნობითაც ახდენს სასამართლო მსჯელობას.<sup>132</sup> პირადი ცხოვრების საიდუმლოების დარღვევისას მნიშვნელოვანია იმ ფაქტის დადგენა, რამდენად სურდა ან არ სურდა პირს, გავრცელებულიყო საჯაროდ პირადი საიდუმლოების შემცველი მონაცემები,<sup>133</sup> ასევე, თუ რამდენმა პირმა შეიტყო საიდუმლოების ფაქტი და რამდენად შეიძლება გაიზარდოს აღნიშნულ პირთა წრე.<sup>134</sup> ზოგიერთ შემთხვევაში შესაძლებელია საზოგადოებრივი ინტერესი იმდენად მაღალი იყოს, რომ ამ უკანასკნელმა გადაწონოს კანონიერად დადგენილი კონფიდენციალურობის ვალდებულება.<sup>135</sup> ამის საპირისპიროდ, ასეთ შემთხვევებში მნიშვნელოვანია ზღვარი მართებულად იქნეს გავლებული, რათა ერთი ინტერესის დაცვის მიზნით სხვათა უფლება არ დაირღვეს/შეილახოს.

---

<sup>130</sup> საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2012 წლის 24 ოქტომბრის N1/2/519 გადაწყვეტილება საქმეზე საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია და საქართველოს მოქალაქე თამარ ჩუგოშვილი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ

<sup>131</sup> საქართველოს უზენაესი სასამართლოს განჩინება, 14 აპრილი 2004, Nას-593-1241-03.

<sup>132</sup> თბილისის სააპელაციო სასამართლოს განჩინება, 7 ოქტომბერი 2014, N2ბ/6800-13.

<sup>133</sup> კობახიძე, სამოქალაქო სამართლის ზოგადი ნაწილი, გვ. 262

<sup>134</sup> თუმანიშვილი, შესავალი საქართველოს კერძო სამართალში, გვ. 70. 2012 წ

<sup>135</sup> სერგი ჯორბენაძის პირადი არაქონებრივი უფლებები თბილისი 2015 წ გბ 78

ყველა ადამიანს გააჩნია პირადი საიდუმლოება და მისი არსებობის უფლება მისი დარღვევის შედეგად შესაძლებელია პიროვნებას მიადგეს მორალური ზიანი რომლის ანაზღაურებაც ზიანის მიმყენებელს ეკისრება<sup>136</sup> სასამართლოს შეფასებისა და მტკიცებულების შეფასების საფუძველზე.

საქართველოს კონსტიტუციოდ დაცულია პირადი ცხოვრება კერძოდ ვინაიდან კონსტიტუციის მე-20 მუხლის პირველი პუნქტის ჩამონათვალში ტერმინ „პირად ცხოვრებას“ სხვა სიკეთეებთან მიმართებაში გააჩნია ზოგადი მნიშვნელობა<sup>137</sup>. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლომ საქმე“ საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია და საქართველოს მოქალაქე თამარ ხიდაშელი, საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“ მიღებულ გადაწყვეტილებაში განაცხადა, რომ „კონსტიტუციის ხსენებული დებულებით დაცულია პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობის უფლების ისეთი მნიშვნელოვანი ასპექტები, როგორცაა ადამიანის პირადი საქმიანობის ადგილი, კერძო სფეროში განხორციელებული კომუნიკაცია და სხვა.“<sup>138</sup> საქმეში „საქართველოს მოქალაქეები - დავით სართანია და ალექსანდრე მაჭარაშვილი საქართველოს პარლამენტისა და საქართველოს იუსტიციის სამინისტროს წინააღმდეგ“ სასამართლომ აღნიშნა, რომ „კონსტიტუციის მე-20 მუხლის პირველ პუნქტში პირადი ცხოვრების მთელ რიგ უფლებრივ კომპონენტებთან ერთად თავშივე მოხსენიებულია ზოგადად „პირადი ცხოვრება,“ რაც თითქოს იმის ვარაუდს ქმნის, რომ ეს ცნება გულისხმობს პირადი ცხოვრების მთელ სფეროს ამომწურავად. შესაბამისად, მე-20 მუხლი მოიცავს პირადი ცხოვრების ყველა უფლებრივ კომპონენტს, მათ შორის იმათაც, რომელთა დასაცავადაც კონსტიტუციაში არის სხვა სპეციალური ნორმები. ბუნებრივია, იმის უგულვებელყოფა არ შეიძლება, რომ პირადი ცხოვრების ნებისმიერი კომპონენტის ხელყოფისას ირღვევა პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობის უფლება ზოგადად, თუმცა ეს გარემოება არ იძლევა იმის მტკიცების უფლებას, რომ ნებისმიერი ასეთი უფლებრივი კომპონენტის დარღვევით, აუცილებლად ირღვევა მე-20 მუხლი. ამ დროს

<sup>136</sup> შ . ჩიკვაშვილი პასუხისმგებლობა მორალური ზიანისათვის თბილისი 2003 წგვ 56

<sup>137</sup> ადამიანის უფლებები და საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს სამართალწარმოების პრაქტიკა, თბილისი 2013, გვ 189;

<sup>138</sup> საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2012 წლის 28 თებერვლის გადაწყვეტილება

გასათვალისწინებელია პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობის რეგულირების კონსტიტუციაში მოცემული კონსტრუქცია. ამის გათვალისწინების გარეშე მაღალია პირადი ცხოვრების ცალკეული უფლებრივი კომპონენტის შინაარსის, მათში დასაშვები ჩარევის ფარგლების არასწორი განმარტების საფრთხე.<sup>139</sup> აქედან ლოგიკურად გამომდინარეობს, რომ პირადი ცხოვრების გარკვეული ასპექტები გვხვდება არა მხოლოდ კონსტიტუციის მე-20 მუხლში, არამედ სხვა ნორმებშიც. ამრიგად კონსტიტუციაში ნახსენები, პირადი ცხოვრება მოიცავს ყველა სხვა კომპონენტს, რაც პირდაპირ არ არის მოხსენიებული მე-20 მუხლის პირველ პუნქტში. ზოგადი ხასიათის მქონე ტერმინ „პირად ცხოვრებას“ სხვა დატვირთვაც გააჩნია. საზოგადოების განვითარების კვალობაზე ჩნდება ადამიანური ცხოვრების ახალი იზოლირებული ინსტიტუტები.

---

<sup>139</sup> საქართველოს საკონსტიტუციო სასაარტოლოს 2009 წლის 10 ივნისის გადაწყვეტილება

## დასკვნა

როგორც უკვე აღნიშნეთ, ადამიანის უფლებები წარმოადგენს უმთავრეს ფასეულობას და არავითარ შემთხვევაში არ შეიძლება ამ უფლების შეზღუდვა და შელახვა. ჩვენ ზემოაღნიშნულ თემაში ვისაუბრეთ არაქონებრივი ზიანის ოდენობის განსაზღვრის თავისებურებაზე. ყველა ადამიანს გააჩნია თავისი პირადი არაქონებრივი უფლებები რომლის შელახვის უფლებაც არავის არ გააჩნია.

როდესაც შეილახება ადამიანის პირადი არაქონებრივი უფლება აღნიშნულ შემთხვევაში დაზარალებულ მხარეს აუცილებლად უნდა აუნაზღაურდეს ის ზიანი რომლითაც მას შეეღობა პირადი არაქონებრივი უფლება. დარღვეული უფლება მხარეს ხშირ შემთხვევაში ფულადი სახით ან ბოდიშის საჯაროდ მოხდით გამოიხატება აღნიშნულმა შეიძლება სრულად ვერ განსაზღვროს და ვერ დაუბრუნოს დაზარალებულს პირვანდელი მდგომარეობა მაგრამ აღნიშნულმა უნდა შეუმსუბუქოს დაზარალებულს აღნიშნული უფლების დარღვევა.

წინამდებარე ნაშრომის მიზანია ქართული და ევროპული კანონმდებლობის განხილვით არაქონებრივი ზიანის ოდენობის განსაზღვრის თავისებურებების პრობლემის

წამოჭრა და წარმოჩენა აგრეთვე ზიანის ოდენობის განსაზღვრის საკითხები სხვადასხვა შემთხვევის დროს როდესაც ზიანი იქნა მიყენებული.

ძალზედ პრობლემურია არაქონებრივი ზიანის გამოანგარიშების საკითხი, ანაზღაურების ოდენობისა და ზიანის შეფასებისას საკითხი მთლიანად მინდობილია მოსამართლის „გონივრულ და სამართლიან„ განსჯაზე, არაქონებრივი ზიანის ანაზღაურების შეფასება და ოდენობის განსაზღვრა სრულიად დამოკიდებულია მოსამართლის გონივრულ განსჯაზე და მის ოდენობას სრულიად მოსამართლე განსაზღვრავს. აღნიშნული ნაშრომი არის ძალზედ მნიშვნელოვანი იმ თვალსაზრისით რომ არაქონებრივი უფლებები ხშირად ირღვევა და მის აღმოფხვრაზე და კომპენსაციის ოდენობის განსაზღვრაზე გვაქვს საუბარი.

ამრიგად მოცემული საკითხი უფრო ფართო და სიღრმისეულ კვლევას საჭიროებს რადგან არ მოხდეს პირის არაქონებრივი უფლების დარღვევა და მისი ამ უფლების დარღვევით გამოწვეული ზიანის ანაზღაურების საკითხის გაურკვეველად დარჩენა.

როგორც უკვე ავლნიშნეთ საქართველოს სასამართლო პრაქტიკაში მოცემულ საკითხზე ოდენობის შეფასება მთლიანად მოსამართლის პრეროგატივაა ჩემი აზრით კი უმჯობესი იქნება, რომ მორალური ზიანის ანაზღაურებისას, ოდენობის განსაზღვრისას სპეციალური ცხრილები იქნას გამოყენებული, როგორც ეს ინგლისსა და გერმანიაშია, გერმანიაში მორალური ზიანის ოდენობის განსაზღვრისას ხეკმძღვანელობენ შესაბამისი ცხრილებით ეს ცხრილები ეფუძნება 4000- მდე სასამართლო გადანყვეტილებას მორალურ ზიანის ანაზღაურების დავებზე. აღნიშნული ამარტივებს ზიანის ოდენობის გამოანგარიშების საკითხს და ჩემი აზრით უმჯობესი იქნება რომ საქართველოშიც ამგავარად იქნას გამოანგარიშებული არაქონებრივი ზიანი. ვფიქრობ რომ აღნიშნული მნიშვნელოვნად გაამარტივებს პროცესს და ხელს შეუწყობს მოსარჩელე მხარეს დარღვეული უფლების დაცვაში. ჩემი აზრით ასე უფრო გაიოლდება და უფრო ეფექტური იქნება არაქონებრივი ზიანის შეფასება და გამოანგარიშება.

ასევე მიმაჩნია რომ კანონმდებლობა აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით უფრო ლიბერალური უნდა იყოს და ზოგიერთ საკანონმდებლო აქტებში შევდეს საკანონმდებლო ცვლილებები მორალურ ზიანის ანაზღაურების შესაძლებლობის

თაობაზე. მაგალითად სიტყვისა და გამოხატვის შესახებ კანონში ან შრომის კოდექსში რათა აღნიშნული უფლებების ხელყოფისას პირს ჰქონდეს სამოქალაქო კოდექსის 413-ე მუხლის საფუძველზე არაქონებრივი ზიანის ანაზღაურების უფლება რადგან დღეისათვის ჩემი აზრით ბევრია ისეთი შემთხვევა როცა ირღვევა აღნიშნული უფლებები.

ასევე მნიშვნელოვნად იმაჩნია ის გარემოება რომ სასამართლომ უნდა შესაბამისად დაასაბუთოს კომპენსაციის ოდენობის შემცირება ან გაზრდის საკითხი და იმსჯელოს თუ რატომ მიაჩნია აღნიშნული ოდენობის განსაზღვრა მორალური ზიანისათვის აღნიშნული საკითხი სასამართლომ სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 105-ე 249-ე მუხლების საფუძველზე ნათლად უნდა დაასაბუთოს რადგან ზიანის ოდენობის განსაზღვრა როგორც უკვე ავლნიშნეთ მოსამართლეზე დამოკიდებული სრულად ამიტომ უნდა განიმარტოს ყველა ის საკითხი გასაგებად და ამომწურავად რომელიც ზიანის ანაზღაურებას ეხება რათა არ მოხდეს დაზარალებული მხარის უკმაყოფილება ან არასათანადო მდგომარეობაში ჩაყენება.

ამრიგად აღნიშნული თემა არის ძალზედ მნიშვნელოვანი და მასში განხილული საკითხები მთლიანად განსაზღვრავს და ხაზს უსვავს არაქონებრივი ზიანის საკითხს. დღეისათვის ძალზედ აქტუალური და მნიშვნელოვანი საკითხია არაქონებრივი ზიანი და მისი ოდენობის განსაზღვრის კრიტერიუმები.

## ბიბლიოგრაფია

ქართულენოვანი ლიტერატურა;

1. საქართველოს კონსტიტუცია
2. საქართველოს სამოქალაქო კოდექსი
3. საქართველოს სამოქალაქო კოდექსის კომენტარი წიგნი პირველი 2016 წელი
4. საქართველოს სამოქალაქო კოდექსის კომენტარი წიგნი მესამე 2001 წელი
5. საქართველოს სამოქალაქო კოდექსის კომენტარი წიგნი მეოთხე 2001 წელი
6. შალვა ჩიკვაშვილი მორალური ზიანი სამოქალაქო სამართალში თბილისი 1998 წელი
7. შალვა ჩიკვაშვილი, პასუხისმგებლობა მორალური ზიანისათვის თბილისი 2003 წელი
8. ლევან დოლონაძე „მორალური ზიანის ანაზღაურება“ თბილისი 2010 წელი



9. ოსაკე ანგლო-ამერიკულ სამართალში მორალური ზიანის ცნება კლასიფიკაცია და ანაზღაურება
10. სერგი ჯორბენაძე პირადი არაქონებრივი უფლებები 2015 წ
11. მიხეილ ბიჭია პირადი ცხოვრების დაცვა საქართველოს სამოქალაქო სამართლის მიხედვით თბილისი 2012 წელი
12. ცერცვაძე, ძლიერიშვილი/სვანაძე/ცერცვაძე გ./ცერცვაძე ლ./ჯანაშია/რობაქიძე, სახელმეკრულებო სამართალი, თბილისი, 2014, გვ.
13. გიორგი ნადარეიშვილი რომის სამართალი
14. მზია თოდუა “ჰუბ ვილემსი“ ვალდებულებითი სამართალთა თბილისი 2006 წელი
15. კერესელიძე უზოგადოესი ცნებები
16. ნინო ბარბაძე მორალური ზიანი და მისი ანაზღაურების პრობლემა 2011 წ
17. ლადო ჭანტურია შესავალი სამოქალაქო სამართალის ზოგად ნაწილში
18. ვალერიან მეთლეველი რომის სამართალი
19. გ. ნადარეიშვილი პატივისა და ღირსების დაცვა ქართულ ფეოდალურ სამართლის ძეგლებსა და სასამართლო პრაქტიკის გამოყენების მიხედვით 2000წ
20. გერმანიის სამოქალაქო კდექსის კომენტარი
21. კონარდ ცვაიგერტი ჰაინ კოტცი შედარებითი სამართალმცოდნეობის შესავალი კერძო სამართლის სფეროში 2001 წ
22. დავით კერესელიძე კერძო სამართლის უზოგადოესი სისტემის ცნებები
23. სამართლის უურნალი თესუ თბილისი
24. გოცირიძე საქართველოს კონსტიტუციის კომენტარი 2013 წ
25. საჯაია ავტორის პირადი არაქონებრივი უფლებები თესუ 2014წ.
26. საქართველოს კანონი სიტყვისა და გამოხატვის შესახებ.

უცხოური ლიტერატურა;

1. Смиленскаяб Елена Витальевна компесация моралного вреда как деликтное обязательство 2000
2. Von borhte notion of damage in ;hartkamphesselink honndius/mak/perron/towards a europen civil code4th revised and expanded edition, 2011,
3. Эрделевский А М компенсация моралного вреда 2-е иезд м 2000г

#### საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილება

1 საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2014 წლის 8 ოქტომბრის # 2/4/532 533 გადაწყვეტილება საქმეზე საქართველოს მოქალაქეები ირაკლი ქომეკლიძე და დავით ხარაძე საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ.

#### საქართველოს საერთო სასამართლოების გადაწყვეტილებები

1. საქართველოს უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილებანი სამოქალაქო საქმეებზე, თბილისი 2017 წ #783-02
2. სუსგ N3/კ376-01, 18 ივლისი, 2001 წელი.
3. სუს გადაწყვეტილება, 18 ივლისი 2001, N3კ/376-01
4. მაგალითად, სუს განჩინება, 22 მარტი 2006, Nბს-1324-900(კ-05)
5. თბილისის სააპელაციო სასამართლოს განჩინება, 25 ივნისი 2013, N2ბ/696-13
6. სუს განჩინება, 1 დეკემბერი 2005, Nას-448-775-05.
7. სუს განჩინება, 14 აპრილი 2004, Nას-593-1241-03
8. თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის დადგენილება, 3 ოქტომბერი 2014, N4/6241-14.

9. თბილისის სააპელაციო სასამართლოს განჩინება, 7 ოქტომბერი 2014, N2ბ/6800-13 ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს გადანყვეტილებები.
10. ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრაქტიკა: Fressoz and Roire v. France (29183/95, 1999); Radio Twist, A.S. v. Slovakia (622002/00, 2006); ასევე, Guja v. Moldova (14277/04, 2009)
11. გერმანიის ფედერალური სასამართლოების მიერ მორალური ზიანის ანაზღაურებასთან დაკავშირებით მიღებული გადანყვეტილებები.